თამაზ ფიროსმანი

ნოეს კიდობანი

მხიარული საყმაწვილო ზღაპარი

მოქმედი პირნი:

მეფე—ბუბუ
I მინისტრი
II მინისტრი
III მინისტრი
მეფის მდივანი ქალი
კუკურა
ქვრივი ქალი
ობოლი და-ძმა
აკადემიკოსი
როზოტი
ოსტატი
ნოე

ამათ გარდა: სანიტრები, ჯარისკაცები, ხალხი...

ეს პიესა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საცირკო ატრაქციონის კომიკური ანტრე. მართლაც, მისი სცენიური განსახიერებისათვის ყველაზე შესაფერი ადგილი, ალბათ, ცირკი იქნებოდა.

Scanned with CamScanner

პირველი მოქმედება

კუკურა ლუდის ღუკანს აღებს. ღუკნის აბრას აწერია: „წყალი — ბავშვებს! ლუდი — მეფეს!“ შემოდიან ქვრივი და მისი შვილები.

კ უ კ უ რ ა. კუღრაჭებო. კუღრაჭებო, მოდით, ლიმონათი დალიეთ!
ბ ა ვ შ ვ ებ ი. დედიკო, დედიკო, შეიძლება ლიმონათი დავლიოთ?
ქ ვ რ ი ვ ი. დალიეთ, ოღონდ, ნუ გაიჭყიპებით!
კ უ კ უ რ ა. თქვენც მობრძანდით, ქალბატონო, თქვენც მიირთვით ცივი ლიმონათი!
ქ ვ რ ი ვ ი. გმადლობთ, მე ხომ ქვრივი ვარ! თქვენ ალბათ გაგიგონიათ ჩვენი ამბავი!
კ უ კ უ რ ა. თქვენი ამბავი მთელმა კუნძულმა იცის!

მღერის:

— ამ ჩვენს კუნძულზე მებადური ცხოვრობდა ერთი,
მას ჰყავდა ცოლი, ორი შვილი და ედგა ქოხი,
და რასაც მისთვის ოკეანე გაიმეტებდა,
იმით არჩენდა პატარა და საყვარელ ოჯახს.
ერთ დღეს. როდესაც შუა ზღვაში იყო გასული,
წამოეწია ქარიშხალი და ამის შემდეგ
თევალი არავ-ს არ მოუკრავს მისი ნავისთვის...

ქ ვ რ ი ვ ი. რატომ გაჩუმდით, განაგრძეთ!
კ უ კ უ რ ა. აქ მთავრდება ეს ამბავი. ქალბატონო.
ქ ვ რ ი ვ ი. რატომ იმას არ მღერით, როგორ ველოდებ-თ, როგორ არ გვჯერა მისი სიკვდილი. არა. მე როგორ არ მჯერა, ბავშვები ვერ დავარწმუნე ვერაფრით, ელოდებიან და ელოდებიან. ვეუბნები, ახალ მამაკოს გიყიდით-მეთქი. არაო, ჯიუტობენ! საკვირველია, ღმერთმანი.
კ უ კ უ რ ა. თუ ახალი მამიკოს ყიდვა დაგჭირდეთ, ნუ მომერიდებით, ქალბატონო, აგერა ვარ, იაფად!
ქ ვ რ ი ვ ი. კუკურა, არ გამაწითლოთ ამ დილაადრიანად!
კ უ კ უ რ ა. გამაჯიბრეთ, რომელიც გინდა, სხვა ახალი მამიკო!
ქ ვ რ ი ვ ი. ცოტა დრო მაინც მომეცით მოსაფიქრებლად!
კ უ კ უ რ ა. გამოვიდეს და მეშველ დავოს, თუ ბიჭია!
ქ ვ რ ი ვ ი. რა მოუთმენელი ყოფილხარ. შმაგო!
კ უ კ უ რ ა. მე რა ვისზე ნაკლები ახალი მამიკო ვარ!
ქ ვ რ ი ვ ი. ხვალამდე მაინც დამაცადე, მსუნაგო!

კ უ კ უ რ ა. ნუთუ არ შეიძლება, ღღეს იყოს, ხვალ და ხვალ კი არა, ღღეს!
ქ ვ რ ი ვ ი. არ ვიცი, როგორ განუგეშო!.. სხვათა შორის, თქვენი წინსაფარი მომწონს ძალიან!..
კ უ კ უ რ ა. **(დაიმორცხვებს)** კარგი რა, ქალბატონო...
ქ ვ რ ი ვ ი. მეც მქონდა ასეთი თეთრი კაბა, როცა ვთხოვდებოდი. დამისხი ლიმონათი, კუკურა, ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ვიყავი ბავშვი!

შემოდიან მეფე, მდივანი ქალი და მინისტრები.

ბ უ ბ უ. ხომ ყველანი ვართ?
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყველანი ვართ და ვღელავთ!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყველანი ვართ, ვღელავთ და გვიხარია!
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყველანი ვართ, ვღელავთ, გვიხარია და ვამაყობთ!
ბ უ ბ უ. აი, ეგ პასუხი მომეწონა!
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. გმადლობთ, მბრძანებელო!

ჭასთან მიდიან.

ბ უ ბ უ. რა ისმის წმინდა ჭიდან, კვლავ ძველებურად დუმს?
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. დუმს, მბრძანებელო!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხმას არ იღებს.
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. მოსწონს ყველაფერი!
ბ უ ბ უ. შენ რომელი ნომერი ხარ?
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. მესამე!
ბ უ ბ უ. კარგად შეგინიშნავს — ჭის დუმილი. მართლაც, მოწონების ნიშანია. ჩემო ბიჭუნებო, იმედია, ამ ჭის ფასი იცით და უფრთხილდებით!
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. მაგ ჭის გულისთვის მოვკვდები!
ბ უ ბ უ. ყოჩაღ, მესამეო, ყოჩაღ! ამ ჭიდან ღმერთი გველაპარაკება, ეს არის ღმერთის რადიო! ხალხს ამ ჭისა, ჩემი ბრძანებით, ყველაფერზე მეტად სჯერა...
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ამბობენ, ამ ჭიდან ერთ მშვენიერ დღეს თვითონ ღმერთი დაიძახებსო!
ბ უ ბ უ. აბა, რა გითხარით მე?!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჰოდა, მართალი ბრძანდებით-მეთქი! მეც ეს მოგახსენეთ!
ბ უ ბ უ. **(თავს გადაიქნევს)** დამიბერდი, პირველო, დამიბერდი!.. კარგი, ჭის საქმე გავარკვიეთ. ახლა ჩვენს ყოველდღიურ შრომას შევუდგეთ. აბა, რა გვაქვს დღეს გასაკეთებელი?

Scanned with CamScanner

I მინისტრი. **(ამოიღებს ჯიბიდან ქაღალდს და კითხულობს)** 1. მთხოვნელების მიღება, 2. ცეკვები, 3. მკვდარი საათი, 4. ძილი.

ბუბუ. ოჰო! საკმაოდ გადატვირთული დღე გვქონია. ვინძეს რაიმეს დამატება ხომ არა სურს?

I მინისტრი. აჰ, რას ბრძანებთ!

II მინისტრი. არავითარ შემთხვევაში!

III მინისტრი. შეიძლება?

ბუბუ. თქვი, მესამევ, თქვი!

III მინისტრი. ორი მკვდარი საათი თუ შეიძლება?

ბუბუ. ორი მკვდარი საათი?.. **(ფიქრობს)** მდა.., ორი... ორი... ყოჩაღ, მოიწონს ეგ ჭინადადება! აი, რას ნიშნავს ახალი აზროვნება!

III მინისტრი. გმადლობთ, მეფეო.

I მინისტრი. **(ჩუმად II-ს)** ეს ჩვენი მესამე ნამეტანს შვრება, ხომ იცი!

II მინისტრი. კი, ნამეტანი ახლებურად აზროვნებს.

I მინისტრი. ჰოდა წაიტეხავს კიდეც ფეხს, ისე ვიხარო მე!

ბუბუ. ნეტა, მთხოვნელები თუ არიან?

I მინისტრი. რა თქმა უნდა, არა!

ბუბუ. მაშინ შემოვიდნენ, რაღას უცდით!

I მინისტრი. **(მეგაფონში)** მთხოვნელებო, ორ მწკრივად მოუწყვეთ!

შემოდის ოსტატი.

დაიცა, ოსტატო, დაიცა, სად მოძვრები, შენ გეძახდი?

ოსტატი. სამუშაოს ვეძებ!

I მინისტრი. მერე მე ძძებნელებს დავუძახე თუ მთხოვნელებს?

ოსტატი. ვთხოულობ კიდეც!

I მინისტრი. ყველა გადავაჩვიეთ თხოვნას, შენ რა გახდი ამისთანა?

II მინისტრი. მათხოვარი!

ოსტატი. კი არ ვთხოულობ, მოვითხოვ!

I მინისტრი. ჰოდა, თუ მოითხოვ, მაშინ მოეწყვე ორ მწკრივად!

ოსტატი. ორ მწკრივად როგორ მოვეწყო, მარტო ვარ!

I მინისტრი. ჰოდა, თუ მარტო ხარ, დაგვანებე თავი, ბიძია. წადი, ჩაუფიქრდი შენს საქციელს და როცა ორ მწკრივად მოეწყობი, მაშინ მობრძანდი, ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა!

II მინისტრი. მოკლედ, გაგვასწარი აქედან!

ოსტატი მიდის.

ბუბუ. მგონი, მწყურია!

I მინისტრი. ლუდიო!

II მინისტრი. ჩქარა ლუდი!

III მინისტრი. კუკურა, ლუდიო!

კუკურა III მინისტრს კათხით ლუდს მიაწოდებს, III მინისტრი მოსვამს, შეამოწმებს და II მინისტრს გადასცემს, II მინისტრიც მოსვამს, შეამოწმებს და გადასცემს I მინისტრს, რომელიც კიდევ უფრო გულდასმით შეამოწმებს ლუდს და მერე კათხას მეფეს გადასცემს.

ბუბუ. **(კათხას გახედავს)** რა უღმერთოდ შეგიმოწმებიათ, თქვე ჯიბგირებო!

სულმოუთქმელად დაცლის კათხას.

ვისი ლუდია?

I მინისტრი. კუკურასი გახლავთ!

ბუბუ. კუკურას ლუდს რა შემოწმება უნდა! მაგას ისედაც ვენდობი. ანგელოზია, ანგელოზი!

I მინისტრი. **(ყვირის)** გაუმარჯოს კუკურას!

II მინისტრი. გაუმარჯოს ანგელოზს!

III მინისტრი. კუკურა ბიჭო, დღეიდან ანგელოზი ხარ იცოდე!

კუკურა. გმადლობთ, ბატონო, არ ვარ ღირსი.

III მინისტრი. ღირსი რომ არ ხარ, იმიტომ, თორემ რისი ღირსიც ხარ, შენც კარგად იცი!

I მინისტრი. **(II-ს ჩუმად)** კუკურაც დროზე მოსაშორებელი გვყავს, დაიხსომე!

II მინისტრი. კუკურას რას ერჩი, ბოშო?

I მინისტრი. იმას ვერჩი, რომ ნამეტანი ენდობა!

ბუბუ. თქვე უსირცხვილოებო, ვერ ატყობთ, რაღაცა რომ გვაკლია?

მინისტრები. **(ერთხმად)** განა ჩვენ რამე გვაკლია?

ბუბუ. აბა, გაიხსენეთ, სწრაფად!

მინისტრები. ვერა, ვერ გვათქმევინებთ!

ბუბუ. აბა, გულში ჩაიხედეთ. კარგად, კარგად, კიდევ უფრო ღრმად!

მინისტრები გულში იხედებიან.

მინისტრები. აჰა, ჩავიხედეთ გულში. არაფერიც, არაფერიც, არაფერის არ გვაკლია!

ბუბუ. მაშ, მე გეტყვით, რაც გვაკლია. ძალიან მიკვირს, როგორ გძინავთ ღამით მშვიდად, როცა ჩვენს კუნძულზე ერთი სანატორიუმიც კი არ არის!

I მინისტრი. მართლაც, ჩვენ — უსინდისოებს — როგორ გვძი-

Scanned with CamScanner

ნავს ღამით მშვიდად, როცა ჩვენს კუნძულზე ერთი სანატორიუმიც კი არ არის?!

II მინისტრი. მე დღისით მძინავს!

ბუბუ. თუნდაც დღისით!

III მინისტრი. ვაი, სირცხვილო!

I მინისტრი. ხედავთ, ეს რა მოგვსვლია, რა დაგვმართნია, სად უნდა გამოვყოთ თავი!

II მინისტრი. გვასწავლეთ, მიგვითითეთ, როგორ მოვიქცეთ!

III მინისტრი. როგორ გამოვასწოროთ ერთადერთი ნაკლი!

ბუბუ. მაშ, აღიარებთ თქვენს დანაშაულს?

მინისტრები. ვაღიარებთ, ვაღიარებთ!

ბუბუ. კარგი, მიმატიეთია!

მინისტრები. გმადლობთ, მბრძანებელო!

ბუბუ. დღეიდან, ხალხის მოთხოვნით, ვაწესებ სანატორიუმს. მთავარ ექიმად ვნიშნავ პირველ მინისტრს...

I მინისტრი. ო, მწყალობელო!

ბუბუ. დარჯებად მეორესა და მესამე მინისტრს!

II და III მინისტრი. ო, მადლობა და უხვო!

ბუბუ. პაციენტად ვნიშნავ ნოეს — დამსახურებულ ინჟინერსა და ანეგდოტების მხცოვან მოყვარულს!

მინისტრები. ო, რა დიდებული კანდიდატურაა! სნაიპერული სასროლია!

ბუბუ. გახსოვდეთ, სანატორიუმი კულტურის კერაა, შიგ ზედმეტად კულტურული პაციენტები უნდა მოვათავსოთ. გამოუძახეთ ნოეს, ჰკითხეთ, უნდა თუ არა პაციენტობა, ურჩიეთ, თხოვეთ, დაარწმუნეთ, გამოიჩინეთ ყურადღება და გულისხმიერება. ბარბაროსულად ნუ მოექცეკით.

მეფე და მდივანი ქალი გაქრნენ.

I მინისტრი. დაუძახეთ ინჟინერ ნოეს!

II მინისტრი. ინჟინერს დაუძახეთო!

III მინისტრი. ინჟინერო, ინჟინერო, სასახლეში გეძახიან!

შემოდის ნოე.

ნოე. აი, ბატონო, მოვედი, გეახელით.

I მინისტრი. ყოჩაღ, ნოე!

II მინისტრი. თქვენობით ველაპარაკოთ.

I მინისტრი. ნოე, გინდა, თქვენობით რომ გელაპარაკოთ?

ნოე. თქვენი ნებაა.

I მინისტრი. მაშ ასე: ყური დამიგდეთ, მოქალაქევ, უნდა გაუწყოთ, რომ ღღეიდან თქვენ მბრძანებლობთ პაციენტი ახალგახსნილი სანატორიუმისა. რომელიც თქვენი და, რა თქმა უნდა, მთელი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით მეფე ბუბუს სახელს ატარებს. თქვენი გაპაციენტება თვით დიდი ბუბუს რეკომენდაციით მოხდა. ახლავე მოახსენებთ მადლობას, თუ წერილობით გამოუგზავნით შრავალი და მრავალი ათასი მადლიერი პაციენტის ხელისმოწერით?

ნოე. **(დიმილით)** კიდე ციხეში მსვამთ, თქვე ოხრებო!

I მინისტრი. როგორ გეკადრებათ, თქვენისთანა სახელოვან პიროვნებას ასეთი მოძველებული აზროვნება არ შეეფერება. ციხეში კი არა — სანატორიუმში გაგზავნით, გარკვეული ვადით.

ნოე. კეთილი და პატიოსანი... კი მაგრამ, თქვენთვის აკადემიკოსს არაფერი შეუტყობინებია?..

I მინისტრი. ახლა, როგორც მთავარი ექიმი, ისე მოგმართავთ...

ნოე. ...მითხრა, მე დავრეკავ, შენ ნუ შეწუხდებიო...

I მინისტრი. ...გთხოვთ, მიმსახუროთ, ნუ მომერიდებით...

ნოე. ...ეტყობა, დაავიწყდა იმ შტერს!..

I მინისტრი. ხვალ თვითონ მობრძანდებით, თუ მოგაბრძანოთ?

ნოე. ღმერთმანი, ვერაფერი გამიგია!..

I მინისტრი. ხვალ თვითონ მობრძანდებით, თუ მოგაბრძანოთ-მეთქი!

ნოე. აბა, შეყვარებული აკადემიკოსი კარგს რას იზამს!

I მინისტრი. მანქანას გამოგიგზავნით!

ნოე. ისე, საკვირველი კია...

I მინისტრი. საკვირველი ის არის, თქვენისთანა შესანიშნავი და ღრმად განსწავლული ადამიანი აქამდე რომ არ იყო ჩვენი სანატორიუმის პაციენტი, მაგრამ ჩვენი გენიოსი მბრძანებლის წყალობით, ჩვენი შეცდომა ხვალიდან მთლიანად და ერთბაშად გამოსწორდება. მე დავალებული მაქვს, ბოდიში მოგიხადოთ ჩვენი შემთხვევითი და აღვილად გამოსასწორებელი უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობის გამო.

ნოე. საკვირველია...

I მინისტრი. მაშ, სვალ დილით გელოდებით. თბილები წამოაყოლეთ ხელს, კბილის ჯაგრისიც. კბილები ხომ გაქვთ?

ნოე. კი, კბილები შემრჩა, ჯერჯერობით...

I მინისტრი. მაგასაც გამოვასწორებთ! მოკლედ, როგორც იტყვიან, გადაგყვებით ზედ.

Scanned with CamScanner

ნ ო ე. საკვირველია, საკვირველი...

ჭიდის.

რეკავს ტელეფონი.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(ყურმილს იღებს)** გისმენთ! **(II-სა და III მინისტრს გადაულაპარაკებს)** ჩვენი აკადემიკოსია! **(ყურმილში)** არ მესმის?! რა თქვი;! შეუძლებელია!.. შენ ხომ არ გაგიჟებულხარ?.. რა?.. ვაიმე!.. გეყოფა, გეყოფა!.. გეყოფა-მეთქი!.. ვაიმე!.. საკმარისია!

II და III მ ი ნ ი ს ტ რ ი. რა მოხდა, რა ამბავია?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(ხელით ანიშნებს, მაცალეთო. ყურმილში)** პანიკა არ ატეხოთ. შენი იმედი გვაქვს. მოვდივართ, მოვდივართ, ახლავე მანდ გავჩნდებით... ვაიმე!

ყურმილს დებს, სავარძელში გადაეხვენება.

II და III მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(მიცვივდებიან)** რა მოხდა, გვითხარი, გაგვაგებინე, რამ დაგამუნჯა, არ გესმის! მოიხედე აქეთ!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(წამოდგება)** ვაიმე!..

II და III მ ი ნ ი ს ტ რ ი. თქვი, ნუ მოგვკალი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. დავიღუპეთ!

II და III მ ი ნ ი ს ტ რ ი. დააყენე საშველი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჩვენს კუნძულს, ჩვენს კუნძულს...

II და III მ ი ნ ი ს ტ რ ი. რა ჩვენს კუნძულს, რა? გამოწირე!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჯუჯა ტაიფუნი უახლოვდება!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მეც არა ვთქვი!..

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. უახლოვდება და მოუახლოვდეს, დიდი ამბავი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხვალ, დილის შვიდ საათზე ჯუჯა ტაიფუნი ჩვენს კუნძულს გადაუვლის და ყველანი... ყველანი დავიღუპებით!.. ვაიმე!..

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. იმ შტერს უსმენ?!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ასე თქვა...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჯუჯა ტაიფუნი ჩვენ რას დაგვაკლებს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. „ჯუჯას“ ალბათ მოფერებით ეძახიან.

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ტაიფუნის მოფერება არ გამიგია მე!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(ფიქრიანად)** არც მე...

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. მე მითუმეტეს!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. დავუშვათ და ცდება!

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. პირველად შეცდება თუ რა!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(ფიქრიანად)** დავუშვათ და არ ცდება, მაშინ?

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მაგას ჯობია, ადგილზე შევამოწმოთ, ცდება თუ არ ცდება!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რა დროს გამოტყვრა ეს ოხერი ტაიფუნი, როცა ახალ ბედნიერ ცხოვრებას ვიწყებდით.

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. კი არ ვიწყებდით, ძველი ბედნიერი ცხოვრებიღან ახალ ბედნიერ ცხოვრებაში გადავდიოდით.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. პაციენტების ჯანმრთელობაზე ვოცნებობდით...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. წინასწარ ნუ იკლავ თავს, გამაგრდი.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ვიღუპებით, ხალხო, ვიღუპებით!

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. დავუშვათ და ორივენი ცდებით, შენცა და აკადემიკოსიც, მაშინ ხომ მე ვიქნები მართალი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. შენ რას ამბობ?

III მ ი ნ ი ს ტ რ ი. მე არაფერს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აბა, შენ, როგორც ყოველთვის, ისედაც მართალი ყოფილხარ!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. რა დროს კამათია, თუ ძმა ხარ, წამო, გავიქცეთ, სიმართლე გავიგოთ!

გარბიან.

მეოთხე მოქმედება

მებადურის ქოხი. უზარმაზარ ტელესკოპს პირი ზღვისკენ მიუშვერია. აკადემიკოსი პახიანსს შლის, თან ყალიონს აბოლებს. ნოე რაღაცას ხაზავს. კუთხეში რობოტი და ბავშვები თამაშობენ.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. **(მღერიან)** დღეს რობოტის დღეობაზე
გამოვაცხვეთ ხაჭაპური...

რ ო ბ ო ტ ი. **(ღიღინებს)** ხაჭაპური, ხაჭაპური...

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. არა, ნამდვილად არ მეგონა, ასე თუ დავამთავრებდი ჩემს ცხოვრებას, ტაიფუნის შესაჭმელი თუ გავხდებოდი. შენ რა გენაღვლება, ჩემო ნოე, შენზე ათჯერ მაინც იყო გაზეთში ნეკროლოგი და, სხვათა შორის, ათჯერვე სიამოვნებით წავიკითხე და შენი სსოვნაც სამუდამოდ ჩამრჩა გულში. პირველი ნეკროლოგია ძნელი, მერე წავა და წავა დრიგინ-დრიგინით.

ნ ო ე. მაგას გირჩევნია, ის მითხრა — ასეთ გაუნათლებელ და უვიც ადამიანს აკადემიკოსობა ვინ მოგცა?

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. აკადემიკოსობას ცოდნაში აძლევენ, ჭკვიანო?

ნ ო ე. აბა, რაში აძლევენ აკადემიკოსობას?

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. აკადემიკოსობას აძლევენ დამსახურებაში! თავის დაქნევა უნდა იცოდე დროზე და ხელის აწევა, აბა! თანაც, „უკვდავების ელექსირის“ ავტორი ვარ, არ დაგავიწყდეს! ახლა შენ რომ ჩემი ელექსირი დაგალევინო, მიანებებ მაგ სამუშაოს თავს, სპორტულ პიჟამოს ჩაიცვამ, ტელევიზორთან დაჯდები, პირზე გაზეთს გადაიფარებ და დაიძინებ ტკბილად. არაფერზე, არაფერზე, არაფერზე აღარ იფიქრებ.

Scanned with CamScanner

ნ ო ე. დიდი რამე მოგიგონებია! მთელი ქვეყანა ასე არ არის!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მაგრამ სხვანაირებიც ხომ უნდა, აი, მაგალითად, შენ-სთანები. ბოდა, იმათაც უნდათ მიხედვა! ამ ელექსირის გულისთვის მიბოძა მეფემ აკადემიკოსობა! **(პაუზის მერე)** ერთი რაღაც უნდა გკითხო, რატომ ხარ ასე მშვიდად, რაშია საქმე?
ნ ო ე. ვფიქრობ... იქნებ მოვიგონო რამე, იქნებ გადავრჩეთ.
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. არა, ძმაო, შენი გამოსწორება არ შეიძლება! ნეს ტყუილად კი არ გეძახიან, სულ გადარჩენაზე ფიქრობ.
ნ ო ე. აბა, გულხელდაკრეფილები ველოდოთ სიკვდილს?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მოდი და ნუ დაელოდები, რა შეიცვლება ამით — არაფერი! ხვალ დილის შვიდ საათზე ჩვენი კუნძული გაქრება. ყველანი დავიღუპებით, ყველანი!

ამ დროს შემოდის ქვრივი, ესმის აკადემიკოსის სიტყვები.

ქ ვ რ ი ვ ი. რა თქვეთ? დავიღუპებითო? მოესმა ალბათ!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. არა, ქალბატონო, სრული სიმართლეა!
ქ ვ რ ი ვ ი. ვაიმე, ჩემო შვილებო! შვიდ საათზე? არა, იქამდე თავს არ ვიცოცხლებ, ზღვაში გადავვარდები!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მეც თქვენთან ერთად, ქალბატონო!
ქ ვ რ ი ვ ი. თქვენც?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. **(მუხლებზე დაეცემა)** ნება მომეცით, ერთი დღით მაინც ვიყო თქვენი შვილების მამა!
ქ ვ რ ი ვ ი. რას ჩადიხართ, როგორ გეკადრებათ? ადექით ახლავე!

ხელს ჩაავლებს, წამოაყენებს.

ეს რა ხდება — მთელი ქვეყანა ჩემს ბავშვებზე გიყდება!

შემორბის ოსტატი.

ო ს ტ ა ტ ი. გამაგებინეთ, მართლა ვიღუპებით?
ქ ვ რ ი ვ ი. ვაიმე, შვილებო!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. გაიცანით, ეს მანდილოსანი ჩემი საცოლეა!
ო ს ტ ა ტ ი. რა დროს ეგ არის, ცალი ფეხი სამარეში გვიდგას!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ცალფეხა სიძე არ გინახავთ;
ო ს ტ ა ტ ი. მითხარით, როგორ მოვიქცეთ, რა ვიღონოთ!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მოდით, დავლიოთ ჩემი ელექსირი და სულერთი გახდება, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი!
ო ს ტ ა ტ ი. დამავალეთ რამე, ამ ხელებს ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ!
ნ ო ე. **(თავს წამოსწევს)** ყველაფრის?

ო ს ტ ა ტ ი. დიახ, ყველაფრის!
ნ ო ე. რეაქტიულ ძრავას თუ გააკეთებ?
ო ს ტ ა ტ ი. რატომაც არა!
ნ ო ე. ევრიკა! ევრიკა!
ყ ვ ე ლ ა ნ ი. რა მოხდა?
ნ ო ე. მაინც ბრუნავს!
ყ ვ ე ლ ა ნ ი. რა ბრუნავს, რა დაგემართა, გვითხარი, ნუ გვაწვალებ!
ნ ო ე. გამახსენეთ კიდევ რომელიმე ცნობილი ფრაზა!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. „ინ ვინო ვერიტას“ ანუ „ღვინოშია ჭეშმარიტება“!
ნ ო ე. **(ხელს ჩაიქნევს)** წადით, მარტო დამტოვეთ!

ყველანი ქოხიდან გამოდიან. ქოხში მარტო ნოე რჩება, თუ არ ჩავთვლით რობოტსა და ბავშვებს, რომლებსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს.

შემორბიან მინისტრები.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. **(ქოხის წინ შეჯგუფებულ ხალხს)** გამარჯობათ, ხალხო!

არავინ პასუხობს, მარტო აკადემიკოსი იხდის ჩაჩს.

(აკადემიკოსს) მოდი აქ, ბიჭო! აქ მობრძანდით, თუ შეიძლება.

აკადემიკოსი ჯიბიდან ორდენს იღებს, მკერდზე იბნევს და მინისტრებთან მიდის.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მართალია, რასაც ამბობენ?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. კი, ბატონო, მართალია.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხვალ დილის შვიდ საათზე?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. დიახ, ხვალ დილის შვიდ საათზე.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. არც ადრე, არც გვიან?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. არც ადრე, არც გვიან.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ვითომ ასეთი სიზუსტე აუცილებელია?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მეცნიერებს სიზუსტე გვიყვარს, ბატონო!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყველანი დავიღუპებით?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ყველანი!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. შენც?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მეც.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მეფეც?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მეფეც.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აბა, თვალებში შემომხედე, ნუ აჩქარდები, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე — მეც დავიღუპები?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. რა ვქნა, ასეა.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მერე?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. რა მერე?

Scanned with CamScanner

I მინისტრი. მერე ის რომ, რა გიხარია, ბიჭო, შენ? ამას ეძახი შენ მეცნიერებას? ეს არის თქვენი სიზუსტე; რატომ გაჩუმდი? გრცხვენია არა? მართალი ხარ, ნამდვილად სამარცხვინოა შენი სიქ-ციელი, ხომ ხარ შენ აკადემიკოსი?

აკადემიკოსი. კი, ბატონო, ვარ.

I მინისტრი. მაშინ რა გიშლის ხელს, ადექი და გადაგვარჩინე. უსათუოდ დილის შვიდ საათზე უნდა გადაგვარჩინო? რა გული გიძ-ლებს, რა ნერვები! ერთი წუთით დაივიწყე ეგ შენი მეცნიერული სი-ზუსტე. ერთი წუთით გახდი პოეტი და გადაგვარჩინე!

აკადემიკოსი. სამწუხაროდ, შეუძლებელია.

I მინისტრი. თუნდაც, მხოლოდ მეფე გადაარჩინე, დიდი ბუბუ!

აკადემიკოსი. არა, არ შემიძლია.

I მინისტრი მკლავში ხელს გამოსდებს და გვერდზე გაიყვანს.

I მინისტრი. დასაწყისისთვის, თუნდაც, მარტო მე, გესმის?

აკადემიკოსი. მესმის, მაგრამ შეუძლებელია.

I მინისტრი. ვითომ შენი ელექსირი ვერაფერს გვიშველის?

აკადემიკოსი. ვერა, ბატონო, ვერ გვიშველის, იმას სხვა დანიშ-ნულება აქვს.

I მინისტრი. ყოველ შემთხვევაში, გადმომისხი ცოტა.

აკადემიკოსი. კი, ბატონო, ინებეთ.

უსხამს მათარაში ელექსირს.

I მინისტრი. არ გინდა სიკვდილამდე უზრუნველი ცხოვრება გქონდეს?

აკადემიკოსი. როგორ არ მინდა...

I მინისტრი. ქვრივს შეგრთავ ცოლად!

აკადემიკოსი. ნუ გამაგიჟებთ ახლა, ჩემო ბატონო!

I მინისტრი. ორი შვილი გეყოლება ამ ხნის კაცს, შეიძლება შვი-ლიშვილებსაც მოესწრო.

აკადემიკოსი. ბედნიერებაზე ვინ ამბობს უარს, მაგრამ არ შე-მიძლია და რა ვქნა!

I მინისტრი. მაშ, არ შეგიძლია არა?

აკადემიკოსი. დიახ, არ შემიძლია.

I მინისტრი. ეგ სიტყვა ვინ გასწავლა?

აკადემიკოსი. ვის უნდა ესწავლებინა, მე თვითონ ვისწავლე.

I მინისტრი. პოდა, თუ ცოცხალი გადავრჩი, პირადად შენ ჩემ-გან მაგ სიტყვის მეტს ვერაფერს გაიგებ. დაიმახსოვრე!

სხვებთან ბრუნდებიან.

I მინისტრი. არ გაამართლა ამ ჩვენმა აკადემიკოსმა!

აკადემიკოსი. ქვეყანა ღუპება, თქვენ კი საკუთარი თავის გა-დარჩენაზე ფიქრობთ.

I მინისტრი. რაო, რაო, რაო? მე ეგ გითხარი? არა მარტო ზუს-ტი, არა მარტო აკადემიკოსი, უსვინდისოც ყოფილხარ, ძმაო, შენ! წკმუტუნ-წკმუტუნით მოვცვივდით ძაღლებივით, ფეხზე გაგეგლისეთ, ხელები აგილოკეთ, ჩვენი თავი ცდების ჩასატარებლად შემოგთავა-ზეთ, თუ გინდა ტყავი გაგვაძვრე, ოღონდ, ხალხის გადარჩენის რაიმე საშუალებას მიაგენიო, აი, რა გითხარით ჩვენ. ხალხის გადარჩენის საქმეს ვეწირებით. ეს კი... შე მართლა ზუსტო შენა, შე მართლა მეცნ-ნიერო შენა, ვერ უყურებთ ამას?!

II მინისტრი. გავაგზავნოთ სანატორიუმში!

I მინისტრი. ეგეც მალე იქნება... სად არის ინჟინერი ნოე?

აკადემიკოსი. ინჟინერი ნოე ფიქრობს.

I მინისტრი. რა დროს ფიქრია, მთლად გამოტუტუცდით?!

აკადემიკოსი. იქნებ ხალხი გადავარჩინოო...

I მინისტრი. რაო, გადავარჩინოო? აი, ვინ უნდა იყო აკადე-მიკოსი! სად იმყოფება ამჟამად ეს სწორუპოვარი მეცნიერი და უკე-თილშობილესი ადამიანი;

აკადემიკოსი. ქოხშია!

I მინისტრი. მომყევით!

ქოხში რობოტი და ბავშვები თამაშობენ, ნოე მუშაობს. შემორბიან მინისტრები.

I მინისტრი. **(დაინახავს რობოტს)** ამ დებილს აქ რა უნდა? გა-დი, ბიჭო, გარეთ!

II მინისტრი. შე ტილიანო, არ გესმის, გადი გარეთო!

III მინისტრი. დაყრუვდი?

I მინისტრი. **(ბავშვებს)** წადით, კუდრაჭებო, ეზოში ითამაშეთ. ხომ ხედავთ, ძია მუშაობს. იცით ეს რა ჭკვიანი და სახელოვანი ძიაა!

ბავშვები და რობოტი ქოხიდან გადიან.

I მინისტრი. საღამო მშვიდობისა, პატივცემულო მეცნიერო! გეახელით დიდი მეფის ბუბუს დავალებით, აინტერესებს — იქნებ არ-სებობს ხალხის გადარჩენის რაიმე საშუალება?..

ნოე. არ ვიცი... ჯერ ვფიქრობ... თუმცა...

I მინისტრი. თქვენ ხომ გადარჩენის ოსტატი ხართ! ჰი-ჰი-ჰი. გა-ნა მადლიერ კაცობრიობას როდისმე დაავიწყდება თქვენი კიდობანი!

ნოე. რა თქვით, რა არ დაავიწყდებაო? სად არის კიდობანი?

Scanned with CamScanner

I მინისტრი. თქვენი კიდობანი მუზეუმშია!
ნოე. კიდობანს მუზეუმში რა უნდა?
I მინისტრი. მაშ, სად უნდა იყოს კიდობანი, ჩვენი კუნძულის ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა!
ნოე. კიდობანი უნდა იყოს აქ და რაც შეიძლება ჩქარა!
I მინისტრი. **(თავის მხლებლებს)** აბა, გავარდით და მოიტანეთ კიდობანი! სწრაფად! აბა ჰე!

მინისტრები გაიქცევიან.

აი, მარტონი დავრჩით. მითხარით. რას ფიქრობთ, რას აპირებთ. მორიდებით რომ შეგახსენოთ. ვალდებულიც ხართ, გვითხრათ.
ნოე. მე ვალდებული მხოლოდ ჩემი სინდისის წინაშე ვარ.
I მინისტრი. თქვენი სინდისი სახელმწიფოს ეკუთვნის, როგორც ერთ-ერთი იშვიათი ისტორიული ძეგლი.

შემოდიან კიდობნის მოსატანად გაგზავნილი მინისტრები.

II მინისტრი. ა. ბატონო, მოვიტანეთ კიდობანი!
III მინისტრი. მოვაცუნცულეთ.
II მინისტრი. ეზოში დავაბრძანეთ.
ნოე. **(ფანჯრიდან იხედება)** ეს არის კიდობანი?
I მინისტრი. გზაში ხომ არ შეგიცვლიათ, თქვე ოხრებო?
II მინისტრი. რას ბრძანებთ, შეცვლას როგორ მოვასწრებდით!
III მინისტრი. სულ მოვარბენინებდით და მოვარბენინებდით!
I მინისტრი. სამტრედეს გავს...
ნოე. **(სევდიანი ღიმილით)** კი. მტრედიც იყო...

მკაცრად.

აბა. ახლა აქედან მიბრძანდით. ხელს მიშლით!
მინისტრები. კი. ბატონო, როგორც გვიბრძანებთ. ხელს როგორ შეგიშლით!...

განზე დგებიან.

I მინისტრი. რა ვქნათ. როგორ მოვიქცეთ?
II მინისტრი. ჩემი აზრით. აქედან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ.
III მინისტრი. ამ ქოხს დარაჯი უნდა დავუყენოთ, თანაც სასწრაფოდ.
II მინისტრი. ეგ საქმე რობოტს დავავალოთ.
I მინისტრი. ეგ დარაჯად არ გამოდგება, ყველას უჯერებს.
II მინისტრი. ხრახნი ექნება მოშვებული თავში. მოვუჭერთ და მერე ჩვენ დავიჯერებს.
ნოე. თუ შეიძლება, ოსტატს დაუძახეთ!

მინისტრები. ოსტატო, ოსტატო, ბატონი ნოე გიხმობს!

შემოდის ოსტატი.

ოსტატი. გისმენთ, ბატონო ნოე!

ნოეს არ ესმის, საქმეშია გართული.

I მინისტრი. **(ჩუმად ოსტატს)** სამუშაოს რომ ეძებდი, დავაკმაყოფილეთ შენი თხოვნა!
ოსტატი. არ მინდა, ორ მწკრივად ვერ მოვეწყობი! ბევრი ვეცადე, არაფერი გამომივიდა.
ნოე. **(თავს წამოსწევს)** ოსტატი სად არის?
ოსტატი. აქა ვარ, ბატონო.
ნოე. მოდი აქ. ნახაზის წაკითხვა შეგიძლია?

თანდათანობით მუშაობაში გაერთობიან.

I მინისტრი. რა პირი დაგიღიათ, დაუძახეთ რობოტს!
II მინისტრი. რობოტო, რობოტო!
რობოტი. **(შემოდის)** ბატონო?
III მინისტრი. რამდენი წლისა ხარ, ბიჭუნავ?
რობოტი. ექვსისა. დღეს შევსრულდი.
III მინისტრი. ამოდენა როდის გაიზარდე?
რობოტი. ასეთი დავიბადე.
II მინისტრი. თავის დახრა შეგიძლია?
რობოტი. მაგას რა უნდა! ა. დავხარე თავი!
II მინისტრი. დედა, რა კარგი თავის დახრა სცოდნია! ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნავ, ყოჩაღ! ეს ხრახნი მოშვებული რომ გაქვს არ გაწუხებს?
რობოტი. შეწუხებით არ მაწუხებს, მაგრამ თმის დავარცხნაში მიშლის ხელს.
II მინისტრი. **(უჭერს ხრახნს)** ჰოდა, აწი აღარ შეგიშლის ხელს, ივარცხნე და ივარცხნე, რამდენიც გინდა!
III მინისტრი. გამომიარე ხვალ და სავარცხელს გაჩუქებ!
რობოტი. გმადლობთ, ჩემო ბატონო!
I მინისტრი. წადი ახლა და კართან დადექი, არავინ შ[illegible]
რობოტი. არის კართან დავდგე და არავინ შემოვუშ[illegible]

გადის.

ნოე. **(ოსტატს)** მოასწრებ?
ოსტატი. რეაქტიულ ძრავაზე პირველად მიხდ[illegible] რამ, რადგან საჭიროა, უნდა მოვასწრო.
ნოე. დაუძახე ყველას, შემოვიდნენ.

SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM GEORGIAN STATE UNIVERSITY
Scanned with CamScanner

ოსტატი. **(გამოღებული კარიდან)** შემობრძანდით, შემოდით, ინ-
ჟინერი გიხმობთ!

კართან ჩოჩქოლი ტყდება. რადგან რობოტი არავის უშვებს ქოხში.

რობოტი. დაიხიეთ უკან! ნაბრძანები მაქვს, არავინ შევუშვა!
ხმები. რას გავს ეს? რამ გადარია? უზრდელი!..

მინისტრები ნოეთან მიდიან.

I მინისტრი. როგორც ვატყობ, რაღაც მოიფიქრეთ, პატივცემულო მეცნიერო.
ნოე. მოითმინეთ და ყველას ერთად მოგახსენებთ, რაც მოვიფიქრე.
I მინისტრი. არ შეიძლება ჯერ ჩვენ რომ გაგვანდოთ?
ნოე. ხომ გითხარით. ხალხს უნდა დაველაპარაკო-მეთქი!
I მინისტრი. აჰ, ასე არაფერი გამოვა!
ნოე. რატომ?
I მინისტრი. ხალხს რადიოთი უნდა ელაპარაკო!
ნოე. ეს ისეთი რამ არის, ყველამ ერთად უნდა გადაწყვიტოს.
I მინისტრი. რა უნდა გადაწყვიტოს ყველამ ერთად?
ნოე. მოითმინეთ-მეთქი. ხომ გითხარით!
I მინისტრი. **(რობოტს ეძახის)** ეი, დარაჯო, შემოუშვი ხალხი!
რობოტი. არის შემოვუშვა ხალხი!

ხალხი ქოხში შემოდის და ნოეს გარშემო გროვდება.

ნოე. მე ლაპარაკი მიჭირს...
I მინისტრი. ყურში მითხარით და ხალხს მე ვეტყვი.
ოსტატი. დააცადეთ!
ნოე. კიდობანი...
ქვრივი. რა დროს კიდობანია?!
ნოე. **(ხელს გადახვევს ოსტატს)** ამხანაგო რადიომსმენელებო, მე
და ჩემმა კოლეგამ ასე გადაწყვიტეთ, კიდობანს გავუკეთოთ რეაქ-
ტიული ძრავა.
I მინისტრი. ვთქვათ და კიდობანს გაუკეთდა რეაქტიული ძრავა.
რას მოგვცემს ეს?
ნოე. ეს იმას მოგვცემს, რომ კიდობანი გაფრინდება!
II მინისტრი. როგორ თუ გაფრინდება, ეს კიდობანი მუზეუმი-
დან ხელწერილით გამოგვატანეს!
ნოე. უკაცრავად, მთავარი დამავიწყდა — კიდობანში ხალხი ჩაჯდე-
ბა და გაფრინდება!

I მინისტრი. კარგი, ვთქვათ, კიდობანში ხალხი ჩაჯდა და გაფ-
რინდა, მერე?
ნოე. მერე... რა მერე?
I მინისტრი. ეს თქვენ უნდა გვიპასუხოთ.
ნოე. მერე ის, რომ გადარჩება!
I მინისტრი. რა თქვი?
II მინისტრი. გაიმეორე!
III მინისტრი. გადარჩებაო!
ხალხი. ვაშაა!

**ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, ისმის შეძახილები: „ვაშა დიდ მეცნიერს“, „ვა-
შა ხალხის გადამრჩენელს“. გახარებული ქვრივი ტირის.**

ქვრივი. ჩემო გადარჩენილო შვილებო! ჩემო გადარჩენილო შვი-
ლებო!
კუკურა. მოითმინეთ, მოითმინეთ, ერთი წუთით მომისმინეთ! ყური
დამიგდეთ, ხალხო!
I მინისტრი. ამას რაღა უნდა?
კუკურა. შეიძლება ნოეს ერთი რაღაცა ვკითხო?
I მინისტრი. ჰკითხე, ოღონდ ნუ შეაწუხებ.
კუკურა. ბატონო ნოე. კიდობანში ყველა ჩავეტევით?
I მინისტრი. ა, სულელი!
II მინისტრი. ელაპარაკე ახლა ამას!
III მინისტრი. დაგვანებე თავი, ძმაო, შენს დუქანს მიხედე!
I მინისტრი. მე შემიძლია ნოეს მაგივრად გიპასუხოთ — რა
თქმა უნდა, კიდობანში ყველა ჩავეტევით. ასე რომ, ნუ ღელავთ.
კუკურა. ნოემ გვიპასუხოს, ნოემ!
I მინისტრი. ბატონო ნოე. გაეცით ბრძნული პასუხი ამ ჩერჩეტს!

ნოე თავჩაღუნული დგას, ხმას არ იღებს.

ხალხი. გვიპასუხე, გვიპასუხე! გვიპასუხე!
ოსტატი. მოითმინეთ, დამშვიდდით!
I მინისტრი. **(იცინის)** რა სისულელეა!
ოსტატი. არა, ყველანი ვერ ჩავეტევით!
I მინისტრი. რაო, ვერ ჩავეტევითო? ჰა-ჰა-ჰა... **რაო, რა თქვი?**
ოსტატი. კიდობანში ყველანი ვერ ჩავეტევით-მეთქი!
ქვრივი. ვაიმე, შვილებო!
ოსტატი. ჩაეტევა მხოლოდ ორი ადამიანი. კიდობანში მხოლოდ
ორი ადგილია.

Scanned with CamScanner

ხ ა ლ ხ ი. **(ამოიგმინებს)** ორი ადგილი?
ნ ო ე. დიახ. ორი ადგილი... მეტი ვერ შევძელი.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რას ჰქვია ორი ადგილი, ჩვენ ხომ სამნი ვართ?!
ნ ო ე. პატარაა ჩვენი კიდობანი...
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. თქმულება კი საწინააღმდეგოს გვეუბნება!
ნ ო ე. თქმულება რად გინდათ, კიდობანი ხომ ჩემი გაკეთებულია!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. შენ მართლა ნოე ხარ?
ნ ო ე. კი, ბატონო, ნოე გახლავარ, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ნოე ვიყავი.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მერე, თუ ნოე ხარ, არ გრცხვენია?
ნ ო ე. რისი უნდა მრცხვენოდეს?
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კიდობანი გააკეთე თუ საქათმე?
ნ ო ე. **(ღიმილით რაღაცას იხსენებს)** მცურავი საქათმე...
I მ ი ნ ს ტ რ ი. მოკლედ, კიდობანში ერთი ადგილი ყოფილა!
ნ ო ე. რათა ერთი?
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ერთ ადგილს შენ დაიჭერ. თქმულება იმასაც გვეუბნება, რომ მაშინაც, ანუ წარღვნის დროს პირველი შენ შევარდნილხარ კიდობანში. ხომ მართალია?
ნ ო ე. **(თავჩაღუნული)** მართალია...
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჰოდა, ახლა იქ შენ ვინ შეგასწრებს. ასე რომ, კიდობანში ერთი ადგილიღა რჩება!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. უკაცრავად, ყველა ადგილი შევსებულია, ბატონო! იმ მეორე ადგილზე თავის მეგობარ ოსტატს დაასკუპებს. მეგობარს ხომ არ უღალატებს!
კ უ კ უ რ ა. აბა, მე რა ვქნა, მე! ხალხო, ხედავთ, როგორ გვატყუებს ეს მავნებელი ნოე!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ეს საიდანღა გამოტყვრა?
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. გვაცალე, კუკურა, საქმე გვაქვს!
კ უ კ უ რ ა. გვატყუებენ, ხალხო, ჩვენი გაცურება უნდათ! ესენი შეკრულები არიან, არ დაუჯეროთ!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. შეგკრავ მე შენ!..
კ უ კ უ რ ა. აი, ხომ ხედავთ, მემუქრება კიდეც!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. დაგვანებე-მეთქი, ბიჭო, თავი!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ვერ უყურებ ამას?!
კ უ კ უ რ ა. ძირს მთავრობა! ძირს აკადემია! ძირს ინქინრობა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხმა ჩაწყვიტე, შე ლუდის ქურდო, შენა!

ხ ა ლ ხ ი. ათქმევინეთ კუკურას, დააცადეთ!
კ უ კ უ რ ა. მე ვთხოულობ საველე ტრიბუნალს!
ქ ვ რ ი ვ ი. **(აღტაცებით)** ო, რა მარატივით ლაპარაკობს!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ბავშვები გაიყვანეთ!
ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. არა, არა, გვაყურებინეთ რა! გვაყურებინეთ რა!
კ უ კ უ რ ა. **(ყვირის)** ძირს მთავრობა!
ნ ო ე. მე კი მინდოდა კიდობანში ბავშვები ჩამესვა...
ქ ვ რ ი ვ ი. ჩემი შვილები?
ნ ო ე. დიახ, თქვენი შვილები...
ქ ვ რ ი ვ ი. დაუჯერეთ, ხალხო, დაუჯერეთ ნოეს, გადამირჩინეთ შვილები!
ხ ა ლ ხ ი. მართალია, ბავშვები გადავარჩინოთ, ბავშვები!
ქ ვ რ ი ვ ი. **(ყვირის)** გაუმარჯოს ნოეს! ბავშვების გადამრჩენელს!
ხ ა ლ ხ ი. გაუმარჯოს ნოეს! გაუმარჯოს!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კუკურას ხმა არ მესმის, სად დაიკარგა!
ხ მ ე ბ ი. კუკურა გაიპარა! კუკურა გაქრა! აორთქლდა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. არა უშავს, როდემდე დაიმალება! საკუთარ ლოზუნგებს გადავაყლაპებ, ისე ვიცოცხლო მე, საფაღარათო ზეთი ვერ უშველის მაგას!
ო ს ტ ა ტ ი. გადაწყდა, კიდობანში ბავშვები სხდებიან!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ოჰო, გამომივიდა ახალი კუკურა!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. შენ ვინა ხარ, რომ მბრძანებლობ?
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. თავხედი!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ნუ ავჩქარდებით. ყველაფერი ავწონ-დავწონოთ!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ვიმსჯელოთ, მოვიფიქროთ!
III მ ი ნ ი ს ტ რ ი. დადგენილება ხომ უნდა გამოვიტანოთ!
ხ ა ლ ხ ი. ბავშვები, ბავშვები გადავარჩინოთ! გადაწყდა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი!... ყველაფერი გადავწყვიტეთ: კიდობანი მუზეუმიდან გამოვიტანეთ, რეაქტიული ძრავა გავუკეთეთ, კუკურას მთავრობა ვაგინებინეთ, კიდობანში ბავშვები ჩავსვით და გავაფრინეთ, გადავარჩინეთ. ჩვენ კი, კუნძულთან ერთად, სამუდამოდ გავშორდით ამ ტკბილ წუთისოფელს! რა კეთილები ვართ არა? რა ჰუმანურები, რა თითით საჩვენებლები! მეფე კი ვითომ აღარც კი არსებობს, ვითომ მეფე საერთოდ არც კი გვყოლია, ვითომ ჩვენზე ზრუნვით გათეთრებული უკვდავი ბუბუ ცოცხალიც კი აღარ იყოს!

Scanned with CamScanner

II მინისტრი. მე სულ მახსოვდა ჩვენი მბრძანებელი!
III მინისტრი. მე მითუმეტეს!
ოსტატი. წადი, უნდა ვიმუშაო, დრო აღარ ითმენს.
I მინისტრი. სამი ერთგული მინისტრის მეტს, მეფე არავის გახსენებია. კუკურამ, ძირს მეფეო, ისიც კი იკადრა. არადა, ბუბუმ ანგელოზობა უწყალობა, ანგელოზად აქცია ეგ ლუდის ქურდი, ეგა. შესაცოდავო ბუბუ, წყალშია ჩაყრილი შენი ამდენი ამაგი, მამობრივი ზრუნვა, დღე და ღამე ჩვენზე ფიქრი **(ხალხის მისამართით)** უმადურები! ყველაფერს მეფეს მოვახსენებ, ვნახოთ, რა პასუხსაც მიიღებთ. დღის შვიდ საათამდე ჯერ ძალიან შორს არის!
II მინისტრი. მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის!
III მინისტრი. სანატორიუმის ბევრი საგზური გამოიწერება!
I მინისტრი. გვარდიელებო, სასახლისკენ ნაბიჯით იარ!

მინისტრები ხმლებს ამოიღებენ და გამწკრივებულები წავლენ.

მესამე მოქმედება

სასახლესთან. შემორბიან მინისტრები.

I მინისტრი. ერთი წუთით შევისვენოთ, მოდით აქ, ჭასთან ჩამოვსხდეთ. ის მითხარით, თვლა რომელმა იცის თქვენს შორის?
II მინისტრი. მე სამამდე ვიცი თვლა.
III მინისტრი. მე მითუმეტეს!
I მინისტრი. კიდობანში კი ორი ადგილია...
II მინისტრი. უი, ჩვენ კი სამნი ვართ!
I მინისტრი. ჩვენ კი არა — თქვენა ხართ სამნი: შენ და ჩვენი ახალგაზრდა კოლეგა, ანუ მესამე მინისტრი! არ გცოდნია თვლა!
II მინისტრი. როგორ არ მცოდნია! აი თუ არ მცოდნია: ერთი, ორი, სამი...
I მინისტრი. ნუ მეკამათები, თუ ძმა ხარ! იმდენი შნო უნდა გქონდეს, რომ სიმართლე აღიარო.
II მინისტრი. განა აქამდე სამნი არ ვიყავით?
I მინისტრი. მოკლედ, თქვენს შორის ერთი ზედმეტია, ვერ ხვდებით?! რა ბარტყებივით დაგიღიათ პირი! შტატები უნდა შევამცროთ, სამის ნაცვლად ორნი უნდა დავრჩეთ.
II მინისტრი. მე გამიჭირდება ძალიან.
III მინისტრი. მე მითუმეტეს!
I მინისტრი. რასაკვირველია, დროებით. გადაიკლის ეს ოხერი ტაიფუნი თუ რაღაც ჯანდაბა და ისევ სამნი გავხდებით.

III მინისტრი. თუ ცოცხლები დავრჩით, კი.
I მინისტრი. დაკვირვებული ბიჭი ხარ, ჩემო მესამევ, ტყუილად კი არ უყვარხარ ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს. მაგრამ შენ თუ გიყვარს ბუბუ?
III მინისტრი. დავაშავე რამე?
I მინისტრი. რა უნდა დაგეშავებინა, რას ამბობ?!
III მინისტრი. აბა, რატომ შეგეპარათ ეჭვი ჩემს ერთგულებაში?
I მინისტრი. ისე გითხარი, სიტყვაზე. დიდი ფხუკიანი კაცი ხარ, ხომ იცი! ხუმრობა გამორიცხულია შენთან. კარგი, კარგი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი. სრცხვილიც კია. რატომ დუმს ნეტავ წმინდა ჭა, რატომ არაფერს გვეუბნება, ჭკუას რატომ არ გვარიგებს, ახლა გვჭირდება შველა და დახმარება. ტაიფუნის მერე ვის დაელაპარაკება, იმასაც ვნახავთ! უიმე!..
II მინისტრი. რა დაგემართა, კაცო?
I მინისტრი. ნამდვილად გენიოსი ვარ, ნამდვილად!
II მინისტრი. მაგაში ვის ეპარებოდა ეჭვი?
I მინისტრი. მე! სხვას ვის შეეპარებოდა ეჭვი?
II მინისტრი. არავის.
III მინისტრი. მე მითუმეტეს!
I მინისტრი. მომისმინეთ: ჭაში უნდა ჩავიდე სასწრაფოდ. **(მესამეს)** აღარ მითხრა, „მითუმეტესო“, თორემ გავგიჟდები იცოდე! კაცმა რომ გკითხოს, ვითომ ბუბუ გიყვარს. არადა, სიყვარულს ლაპარაკი არა, საქმე ჭირდება. „მითუმეტეს“, „მითუმეტეს“ ძახილით არაფერი გამოვა. ეტყობა, ჩემს გარდა არავის მოუვა თავში აზრად, ჭაში რომ ჩავიდეს...
II მინისტრი. მითხარი, რა უნდა მომივიდეს თავში აზრად და იმწამსვე მომივა!
III მინისტრი. მე მითუმეტეს! უკაცრავად, აღარ ვიტყვი!
I მინისტრი. თქვი, შვილო, თქვი, როდის იყო, ვინმეს რამეს ვუკრძალავდი! მოკლედ, ჩავალ ახლა ამ ჭაში, დავიძახებ იქიდან .კიდობანში ჩვენი დიდებული მეფე უნდა ჩაჯდესო და ამოვალ იმ წუთას. მეფეც არ დაივიწყებს ჩემს სამსახურს და თან წამიყვანს იმ კიდობნით. რა ვქნა, მოხუცი კაცი ვარ, ტაიფუნთან, თანაც ჯუჯასთან ჭიდაობა სად შემიძლია! თქვენ ახალგაზრდები ხართ, ეჭიდავეთ და ეჭიდავეთ, რა გიჭირთ, ჯანი გერჩით და ღონე... ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამქვეყნად მარტო მე ვარ ერთგული ჩვენი დიდებული მეფისა!
II მინისტრი. ვინ მოგახსენა, უკაცრავად შენთან! მე უფრო ერთგული ვარ, ჭაში მე უნდა ჩავიდე. გამიშვი!

Scanned with CamScanner

III მინისტრი. დაიცადეთ, დამითმეთ ეგ დიდი ძამულიშვილური მოვალეობა. გეპუდარებით, შე ყველაზე ახალგაზრდა ვარ თქვენს შორის, თითქმის ბავშვი!

I მინისტრი. როგორ გგონია — ტრამვაიში კინ ვის უთმობს ადგილს — უფროსი ბავშვს თუ ბავშვი უფროსს?

III მინისტრი. ტრამვაიში კი, ტრამვაიში დიდი სიამოვნებით, მაგრამ თუ გაგიგიათ სადმე კიდობანში დაეთმოს ბავშვს ადგილი უფროსისათვის?

I მინისტრი. შენ, ჩემო მესამევ, მართლაც რომ ბავშვივით წმინდა და პატიოსანი ყოფილხარ! მეფესაც ამიტომ უყვარხარ და ალბათ გადაყვეტ ლიც კი აქვს შენი კიდობნით თან წაყვანა. ის ხომ გულთმისანია, ძან ხომ ისიც იცის, თუ რაზე ვდავობთ და ვკამათობთ ახლა! ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის მერე, აი, ჭიდან რომ ამოვალ, ჩემგან ყველაფერს დაწვრილებით გაიგებს.

II მინისტრი. სიწმინდე და პატიოსნება რაღაა, მეც გამაგებინეთ!

I მინისტრი. შენ გაჩუმდი!

III მინისტრი. ჩავალ ჭაში, დავიძახებ და ამოვალ იმწუთას!

I მინისტრი. აბა, როგორ უნდა დაიძახო, გვაჩვენე, მოგვასმენინე!

III მინისტრი. **(ვითომ ჭიდან იძახის)** კიდობანში მეფე უნდა ჩაჯდეს, მეფეეე!

I მინისტრი. აი, რას ნიშნავს ახალგაზრდობა და ნიჭი! როგორ ამსგავსებს ღმერთის ხმას! აბა, გაიმეორე!

III მინისტრი. **(ვითომ ჭიდან იძახის)** კიდობანში მეფე უნდა ჩაჯდეს, მეფეეე!

I მინისტრი. აფსუს, რა ნიჭი იღუპება! თუმცა, რა იცი, იქნებ კიდევ მოერიო ტაიფუნს, აბა, მაჩვენე მუსკულები!

III მინისტრი. მუსკულებს მერე გაჩვენებთ, როცა ამოვალ! მოკლედ, არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი — ჭაში მე ჩავდივარ! ვინც ხელს შემიშლის, მოვკლავ, იცოდეთ! ასე რომ, არ მომეკაროთ!

ჭაში ჩახვლას აპირებს.

II მინისტრი. ეს, ბატონებო, ძალადობაა და მეტი არაფერი!

I მინისტრი. დიახ, ნამდვილი ექსტრემიზმია!

III მინისტრი. ხომ ვთქვი, მერე ვილაპარაკოთ-მეთქი! თქვენ ის ამიხსენით, ჭაში როგორ ჩავიდე, თოკი ამას არა აქვს და ხელის ჩასაჭიდი. ხომ არ ჩავხტები, თანაც ცურვა არ ვიცი.

I მინისტრი. ხომ ვთქვი — წმინდანია-მეთქი — ჭა აუზი ჰგონია! ჯანდაბას ჩემი თაკი, ჩემი ცხრურუბა-შე მაინც უკვე მოვჭამე, ისევ ახალგაზრდობას უნდა დავუთმო გზა, რა ვქნა! ჩადი, შვილო, ჭაში და შენ დაიძახე-იქიდან, შენ გაფრინდი მეფესთან ერთად, შენ გადარჩი ჩვენი ხვალინდელი დღის იმედად!

II მინისტრი. მე აღარაფერს მეკითხებით, უჩემოდ აშენებთ მომავალს? ჯერ ხომ არ შევუჭამივარ ტაიფუნს, ჯერ ხომ თქვენი კოლეგა მქვია!

I მინისტრი. ეჰ, კოლეგა, კოლეგა, ერთხელ მაინც დაფიქრდი შენს ცხოვრებაში!

II მინისტრი. აჰა, დავფიქრდი... დაიცა, დაიცა — კიდევ ერთხელ დავფიქრდე! ჰო, შენ მართალი ხარ, სჯობს ახალგაზრდობას დავუთმოთ ასპარეზი!

III მინისტრი. **(დაეჭვდება)** რატომ, მაინც და მაინც, ახალგაზრდობას? როდის იყო, ვინმეს რამეს რომ უთმობდით? რაღაც ძალიან ადვილად დამეთანხმეთ, რაშია საქმე?

I მინისტრი. გამოდი აქეთ, თუ ძმა ხარ, არ გააბაზრა საქმე! აქამდე ათჯერ ამოვიდოდი მაგ ჭიდან, შე კაცო! არ გინდა და ნუ გინდა, მეგონა, მადლობას გვეტყოდი. შენ კი, არა მარტო პატიოსანი ყოფილხარ, არამედ — შტერიც! მე კი პატიოსანი და ჭკვიანი მეგონე — ამან შემაცდინა! გამოდი აქეთ-მეთქი! დიდებულო მეფევ, ხომ გესმის ჩემი, მარტო მე ვარ შენი ერთგული, სხვებმა „მითუმეტეს“, „მითუმეტეს“ მეტი არაფერი იციან, ლაპარაკში არიან მაგრები. დე, მარტო ჩვენ გავფრინდეთ კიდობნით, დე, მარტო ჩვენ გადავრჩეთ! აბა, მიმიშვით ჭასთან, ჩამომეცალეთ გზიდან! ვის ვეუბნები მე?! მეორევ, გაიყვანე ეს ბრიყვი გვერდზე, დროა, ხვალინდელ ტაიფუნზე იფიქროს!

III მინისტრი. არ მომეკაროთ, არ გაბედოთ, ჭაში მე ჩავდივარ, ჩემზე მეტად ჩვენი მეფე არავის უყვარს!

I მინისტრი. რა გაყვირებს, ბიჭო, შენ?

III მინისტრი. არ მომეკაროთ-მეთქი! ჭაში მე ჩავდივარ!

I მინისტრი. კი, ბატონო, ოღონდ, ნუ გადაირევი, ნუ დაგვხოცავ! თოკი მაინც მოიბი წელზე. ასე რომ მიძვრები ჭაში!

თოკს აბამს წელზე.

III მინისტრი. ვთქვათ, ჩავძვერი, მერე რა უნდა გავაკეთო?

I მინისტრი. რას აკეთებს ჭაში ჩასული კაცი?

III მინისტრი. რა ვიცი, პირველად ჩავდივარ ჭაში!

I მინისტრი. გესმის, მეორევ, ამისთვის ჭაში ჩასვლა პირველი ყოფილა!

II მინისტრი. რას მეუბნები?

I მინისტრი. ჩახვალ და დაიძახებ: კიდობანში ჩვენი ხელმწიფე

Scanned with CamScanner

უნდა ჩაჯდესო. მეტი არაფერი. თუ რამე სხვა საქმეც გაქვს, ეგ ჩვენ
არ გვეხება. ისე, ამ წუთიდან სამსახურებრივ მივლინებაში ითვლები
და ხარჯებს ბუღალტერია აგინაზღაურებს?

III მინისტრი. სხვა რა საქმე უნდა მქონდეს ჭაში?

I მინისტრი. მე რა ვიცი.

III მინისტრი. **(ჭაში იყურება)** რა ღრმაა ეს ოხერი!

I მინისტრი. ამიტომაც გაბია ეს თოკი! არ გრცხვენია, უთოკოდ
მიძვრებოდი! ერთიც ვნახოთ და ფეხი დაგცდენოდა, თვალებში რო-
გორ უნდა შემოგეხედა ჩემთვის, ან მეფისთვის რა პასუხი უნდა გაგე-
ცა! უსვინდისო! ეს არის შენი მეგობრობა?!

თან თოკს უმოწმებს, მაგრად აქვს შემოხვეული თუ არა.

თამამად ჩადი, მე თოკს დაგიჭერ. როგორც კი დაიძახებ, მაშინვე ამო-
გიყვან. ოღონდ, თავს გაუფრთხილდი, ჭაში არ გაცივდე. ხომ იცი, იქ
როგორ გრილა! აუზიო! რა ხუმარა ხარ, შენ რა გითხრა! აი, ჩემი კაშ-
ნე მოიხვიე, კარგად შეიფუთნე ყელი.

თვითონ ახვევს კაშნეს.

II მინისტრი. თბილი წინდები მაინც ჩაგეცვა!..

III მინისტრს ნელნელა უშვებენ ჭაში თოკით.

I მინისტრი. **(ჩასძახებს)** ჰა, რაღას უცდი, დაიძახე!

III მინისტრი. **(ჭიდან)** როგორ ბნელა, კაცო!

I მინისტრი. მალე განათდება! დაიძახე-მეთქი!

III მინისტრი. **(ჭიდან)** რა დავიძახო?

I მინისტრი. დაავიწყდა ამ იდიოტს!

III მინისტრი. ამომიყვანეთ, მეყოფა!

I მინისტრი. ბრიყვო, ეგ გასწავლე, მაგიტომ ჩაგიშვი ჭაში?

III მინისტრი. **(ჭიდან იძახის)** მეფე უნდა ჩაჯდეს კიდობანში!
მეფე უნდა ჩაჯდეს კიდობანში!

I მინისტრი. უფრო ხმამაღლა!

III მინისტრი. ამომიყვანეთ-მეთქი! მეფე უნდა ჩაჯდეს კიდო-
ბანში!

I მინისტრი. მართლა გრილა მანდ?

III მინისტრი. გავიყინე!

I მინისტრი. კაშნე რისთვის მოგეცი?

III მინისტრი. ამომიყვანეთ-მეთქი, არ გესმით!

I მინისტრი. შენ ის მითხარი, მართლა არ იცი ცურვა?

III მინისტრი. ამომიყვანეთ, თქვე დამპლებო!

I მინისტრი. წყალი ცოტა ხომ არ გავათბობინოთ?

III მინისტრი. ო, თქვე გათახსირებულებო, ო, თქვე მკვლელებო,
ო, თქვე გარეწრებო!

II მინისტრი. მიხვდა, რომ ვაჭამეთ, ხომ იცი!

I მინისტრი. კი თქვა ამ უბედურმა, თუ გახსოვს, ამ ჭის გუ-
ლისთვის მოვკვდებიო. ასე ყველაფერი აუსრულდეს, ნეტავი!..

უშვებს თოკს ხელს.

ესეც ასე!.. **(იყვირებს)** სასწაულია! სასწაული!

II მინისტრი. სასწაულია, ხალხო!

I მინისტრი. ხომ გაიგონე შენი ყურით?

II მინისტრი. გავიგონე კი არა, კინაღამ შევიშალე ჭკუაზე.

I მინისტრი. მეფე უნდა ჩაჯდეს კიდობანშიო!

მიწაზე დაემხობიან

ორივენი. მადლობთ შენ, უფალო, სასწაული რომ მოგვივლინე,
სასწაულის მოწმენი რომ გაგვხადე! შენი სახელის ჭირიმე! მადლობთ,
ღმერთო!

წამოხტებიან.

I მინისტრი. ასე უფრო თავისუფლად დავეტევით!

II მინისტრი. რა თქვი?

I მინისტრი. მერე აგიხსნი. ახლა მეფესთან გავიქცეთ, შევატყო-
ბინოთ, რა განსაცდელი ელის მის საყვარელ ხალხს!

**ამ დროს სასახლიდან გამოვლენ მეფე და მისი მდივანი ქალი. მეფე კოსმონავ-
ტივითაა გამოწყობილი, ქალი სტიუარდესასავით.**

I მინისტრი. დიდო მეფეო, თქვენთან მოვეშურებოდით!

მეფე. ვიცი, მე უკვე ყველაფერი ვიცი, კუკურამ ყველაფერი მო-
მახსენა!

I მინისტრი. მეამბოხეა ეგ თქვენი კუკურა!

მეფე. როდის უნდა ისწავლოთ თქვენ ჭკუა, რა გეშველებათ!

I მინისტრი. რომ მოგესმინათ, რა ლოზუნგებს ისროდა!

მეფე. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

II მინისტრი. ძირს... ძირს მეფეო! აბააა!

მეფე. ყოჩაღ, კუკურა, ყოჩაღ! ყველა მეამბოხე ერთნაირი არ არის,
შტერებო, ზოგი მეამბოხე აუცილებელიც კია! ახლა ჩემი გამგზავრე-
ბა ლოგიკური და გადაუდებელია! ასე რომ, უნდა დავაწინაუროთ კუ-
კურა!

I მინისტრი. საით თქვენი მგზავრობა, მბრძანებელო!

Scanned with CamScanner

მ ე ფ ე. წავალ. გავასწრებ, სანამ ჩამომაგდებდნენ, რა ქენა, სხვა გზა არა მაქვს. ჩემთვის თქვენთან ერთად დაღუპვაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, მაგრამ არ მაძლევთ საშუალებას და როგორ მოვიქცე! ამიტომ გადავწყვიტე, კიდობნით გავეცალო აქაურობას. ო, რა უბედური ვარ! **(მდივან ქალს).** თერმოსი არ დაგავიწყდეს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მეც თქვენთან ერთად, ხელმწიფეო, ო, მეც რა უბედური ვარ!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მეც ფეხდაფეხ მოგყვებით, თქვენსავით უბედური!

მ ე ფ ე. არა, ჩემო კარგებო, მე თქვენს ცოდვას კისერზე ვერ დავიდებ, არ გრცხვენიათ — ასეთი გულქვა ბგონივართ, ასე მიცნობთ? თქვენი უმწიკვლო სამსახურითა და უსაზღვრო ერთგულებით არ დაგიმსახურებიათ ასეთი უბედური ხვედრი. თქვენ ბედნიერები უნდა იყოთ და იქნებით კიდეც! მომილოცავს — თქვენ აქ რჩებით!

ო რ ი ვ ე ნ ი. არ დაგვღუპო, მეფეო!

მ ე ფ ე. არ დაგავიწყდეთ, კიდობანში მხოლოდ ორი ადგილია, თქვენ კი სამნი ხართ!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აღარა ვართ სამნი, ორნიღა დავრჩით...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ორად ორი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჩავიჩოჩებთ, გავიჭირვებთ და დავეტევით.

მ ე ფ ე. მესამე რა უყავით!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აუზში დაცურავს.

მ ე ფ ე. საად?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჭაში!

მ ე ფ ე. ამხანაგი მოკალით, ვირებო?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ამხანაგი კი არა, ძმა იყო ჩვენი!

მ ე ფ ე. მერე, ძმის საფლავს მიატოვებთ?

ო რ ი ვ ე ნ ი. მივატოვებთ!

მ ე ფ ე. თქვენ კი მიატოვებთ, მაგრამ კიდობანში ადგილი რომ აღარ მაქვს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ერთ ადგილზე ორნი დავეტევით!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ის მეორე ადგილი წესით მე მეკუთვნის!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რატომ ვითომ?

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. იმიტომ რომ მეორე ადგილია, მე კი მეორე მინისტრი ვარ!

მ ე ფ ე. აი, გისმენთ და მიკვირს — არც ერთი არ ფიქრობთ იმაზე,

ვაითუ მეფეს გზაში ან მოშივდეს ან მოსწყურდესო, ვაითუ სტიუარდესა დასჭირდესო. საოცარია პირდაპირ, საოცარი! ასე რომ, მეორე ადგილს ეს ქალი დაიჭერს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ამდენი ვიწვალე, ამდენი ვიხლაფორთე და ბოლოს მაინც ქალმა დამღუპა! მოგვისმინეთ, დიდი მეფეო!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ნუ გაგვწირავ!

მ ე ფ ე. მე გწირავთ თუ თქვენ თვითონ იწირებით?

ო რ ი ვ ე ნ ი. რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ ვიწირებით, თქვენ როგორ გაგვწირავთ!

მ ე ფ ე. მაშ, მეთანხმებით!

ო რ ი ვ ე ნ ი. ისე გეთანხმებით, მეტი არ შეიძლება!

მ ე ფ ე. თუ მეთანხმებით, რამ გაგაჩუმათ?

ო რ ი ვ ე ნ ი. დუმილი თანხმობის ნიშანია, დიდო მეფეო!

მ ე ფ ე. არა, თანხმობის ნიშანი ტაშია!

მინისტრები ტაშს უკრავენ. მეფე და ქალი სასახლეში შებრუნდებიან. მინისტრები სასახლის კიბეზე ჩამოსხდებიან. კუკურა იქვე თავისი დუქნის წინ ხაქმიანობს რაღაცას, ღიღინ-ღიღინით ვითომც არაფერიო.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. დავიღუპეთ!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. კი, ნამდვილად დავიღუპეთ... **(პაუზა).**

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. გამოუვალი მდგომარეობაა! **(პაუზა).** **(მტკიცედ)** არა, სხვა გზა არ არის!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მოიფიქრე რამე?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჩვენს მშვენიერ კუნძულს ჯუჯა ტაიფუნი უახლოვდება!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მაგის გახსენება მინდა ახლა მე?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხვალ, დილის შვიდ საათზე მოხდება კატასტროფა!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ეგეც ვიცი.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. და ყველანი დავიღუპებით!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ვიცი-მეთქი, ვიცი!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. თავის დროზე რომ გეძახა, ვიცი, ვიცი, ფრიადზე დაამთავრებდი სკოლას!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. რად მინდოდა, რაში გამომადგებოდა?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რად გინდოდა და ინჟინერი გამოხვიდოდი.

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. დიდი ამბავი! მინისტრობა არ ჯობია ინჟინრობას?

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ჩვენი საკუთარი კიდობანი გვექნებოდა და სახვეწნად არ გაგვიხდებოდა საქმე. ასე რომ, აღარ შემაწყვეტინო სიტყვა!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. კი, ბატონო.

Scanned with CamScanner

I მინისტრი. ჩვენი საბჭო შეიკრიბა იმის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, ვინ უნდა გადავარჩინოთ. პატივცემულო დეპუტატებო, გთხოვთ, კარგად დაფიქრდეთ და ისე უპასუხოთ ამ კითხვას. უნდა მივიღოთ ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილება. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ხალხისა და მომავლის წინაშე!

II მინისტრი. ბატონო თავმჯდომარევ, შეიძლება?

I მინისტრი. ჩართეთ მიკროფონი!

II მინისტრი. ჩართულია!

I მინისტრი. ბრძანეთ!

II მინისტრი. თავი გადავირჩინოთ, ჩვენი თავი!

I მინისტრი. გაჩუმდი-მეთქი, შე ტუტუცო შენა!

II მინისტრი. აბა, რა ვქნათ?

I მინისტრი. უნდა გადავარჩინოთ ბავშვები! აი, როგორ უნდა მოვიქცეთ!

II მინისტრი. გაგიჟდი?

I მინისტრი. პაწაწინა, საბრალო, უმწეო ბავშვები! ბავშვების გადარჩენით გადავარჩენთ მომავალს! ჩვენი საბჭო, გამოხატავს რა ხალხის საერთო სურვილს, ადგენს: კიდობანში ჩავსვათ ბავშვები! გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი! ვინ არის თანახმა! **(ხელს წევს მაღლა).** თავი ვინ შეიკავა? არავინ. წინააღმდეგი ხომ არ არის ვინმე?

II მინისტრი. მე ვარ წინააღმდეგი!

I მინისტრი. მაშ, ასე — საბჭოს გადაწყვეტილება დამტკიცებულია ხმის უმრავლესობით!

II მინისტრი. უმრავლესობას სად ხედავ, ნუ გადამრიე!

I მინისტრი. შეგახსენებთ, რომ საბჭოს ერთი წევრი საპატიო მიზეზით არ ესწრება!

II მინისტრი. ის ხომ მოკვდა, შე კაცო?!

I მინისტრი. მერე, შე კრეტინო, უკაცრავად, პატივცემულო დეპუტატო, გრიპი თუ ითვლება საპატიო მიზეზად, სიკვდილი უფრო საპატიო არ არის?

II მინისტრი. კარგი, ვთქვათ, საპატიო მიზეზით არ ესწრება, მერე რა?

I მინისტრი. მერე ის, რომ სამაგიეროდ შენ ესწრები საპატიო მიზეზით. და რადგან ესწრები, გარდაცვლილი ამხანაგის, კოლეგისა და მეგობრის გულისთვის ხელის აწევაც უნდა შესძლო. ეს არის შენი ადამიანობა? აბა, მე რომ მოვკვდე, ხელსაც კი არ აწევ ჩემს მაგივრად?

II მინისტრი. ოღონდ, შენ მოკვდი და ხელს როგორ არ ავწევ!

აი, ბატონო, ავწიე გარდაცვლილი მეგობრის გულისთვის ხელი!

I მინისტრი. ასე და ამრიგად — სხდომა შეიძლებოდა დახურულად გამოგვეცხადებინა, ახალი ისტორიის კარი კი გახსნილად, მეორე, ასევე მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხი რომ არ წამოჭრილიყო ჩვენს წინაშე — კიდობანში ჩაჯდომა და გაფრენა მოინდომა მეფემ, დიდმა ბუბუმ, რაც თითქოს მოულოდნელია ასეთი დიდბუნებოვანი პიროვნებისაგან. მაგრამ თუ კარგად ჩავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ ასეთი ნაბიჯი მეფეს ჩვენმა უგულობამ და უმადურობამ გადაადგმევინა. განა ახლახან ხალხმრავალ მიტინგზე ჩვენ თვითონვე არ მოვითხოვეთ მისი გადადგომა?! ო, რა საშინელი ურჩხულია უმადურობა, ბატონებო! ჩვენი დიდებული ხელმწიფე გულდაკოდილი და სევდიანი მიემართება კიდობნისაკენ, ექთანი ქალის თანხლებით, რომელსაც ერთჯერადი ნემსი გამზადებული აქვს, რა იცი, რომელ წამს შემოუტევს ჩვენზე ზრუნვით გალეული გული ხელმწიფეს. და ყველაფერზე მეტად დამაფიქრებელი მაინც ის ფაქტია, რომ ჩვენს შორის ერთი კაციც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც დაუჩოქებდა, შეევედრებოდა. დარჩი ჩვენთან, დიდო მეფეო, დარჩი და, ბოლოს და ბოლოს, აგიგებთ იმ ძეგლს, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დამსახურებულად მოითხოვდი ჩვენგან, შენთვის ჩვეული თავმდაბლობით და ჩვენ კი ვითომც არ გვესმოდა. ბატონებო, ნუ ეფიქრობთ მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე, ვიფიქროთ მეფეზეც — სად ვუშვებთ ამ ჩვენთვის თავდადებულ ადამიანს, ნუთუ არ იცით, არავინ ისე საცოდავი არ არის ამ ქვეყნად, როგორც ემიგრანტი მეფე. უგვირგვინო ხელმწიფეს რესტორნის ქვაბიც რომ დაახურო, მაინც თავშიშველი იქნება!

II მინისტრი. **(აღელვებული)** გვითხარი, როგორ მოვიქცეთ, როგორ ვუშველოთ ჩვენს დიდებულსა და საცოდავ ხელმწიფეს!

I მინისტრი. საჭიროა დროზე გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა!

II მინისტრი. როგორ?

I მინისტრი. ითვალისწინებს რა მეფის დიდ დამსახურებას, ხალხზე ზრუნვაში თეთრად გათენებულ ღამეებს, მის გამუდმებულ უძილობას, საბჭო ანიჭებს მას უკვდავებას, ანუ მარადიულ, ცოცხალ ძილს თავისი სათაყვანებელი ხალხის წიაღში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, აღიმართება მისი ძეგლი, როგორც სიმბოლო ჩვენი უსაზღვრო მადლიერებისა. ძეგლი აიგება ხალხის შრომითი დანაზოგით. სხდომა დამთავრებულია. გმადლობთ, ბატონებო!

II მინისტრი. შენ რა გითხრა მე — გავსკდი ტირილით!

Scanned with CamScanner

I მინისტრი. ახლა სასწრაფოდ კუკურა მჭირდება!

II მინიტრი. აგერ ა, კუკურაც! კუკურა, ბიჭო, მოდი აქ!

კუკურა. **(ხალისიანად მოირბენს)** რას მიბრძანებთ, ჩემო ბატონო?

I მინისტრი. კუკურა, ბიჭო, ბუბუ გიყვარს?

კუკურა. აბა, ბუბუ?

I მინისტრი. მეფე! სხვა რომელი გვყავს ბუბუ?

კუკურა. მამასავით მიყვარს ჩვენი ხელმწიფე, მამასავით!

I მინისტრი. მამა გყავს?

კუკურა. არა, ბატონო.

I მინისტრი. აბა, მამასავით როგორ გიყვარს ბუბუ, შე იდიოტო?

კუკურა. ეტყობა, დედასავით მყვარებია!

I მინისტრი. ეგ სხვა საქმეა.

კუკურა. მაგრამ დედაც რომ არა მყავს? ახლა გამახსენდა...

I მინისტრი. და დროზეც გაგახსენდა! მაგიტომ გეძახდი სწორედ. ხომ არ გინდა, ბუბუც რომ მოგიკვდეს?

კუკურა. უი, რას ბრძანებთ?

I მინისტრი. არ დაფიქრებულხარ არასოდეს — რატომაა მკვდარს უკვდავი რომ ჰქვია, ცოცხალს კი მოკვდავი? არ ჯობია, ცოცხალს უკვდავი ერქვას, მკვდარს კი მოკვდავი?

კუკურა. კი ჯობია ალბათ, რა ვიცი...

I მინისტრი. ამიტომ ბუბუ უკვდავი უნდა გახდეს, ეგეც რომ არ მოგიკვდეს და სულ გიყვარდეს და გიყვარდეს, რამდენიც გინდა ვერ გაძღე სიყვარულით!

კუკურა. ეგ ნამეტანი კარგი იქნება ნამდვილად.

I მინისტრი. ანგელოზობა ხომ მოგანიჭა?

კუკურა. ვამაყობ, ბატონებო, ანგელოზობით!

I მინისტრი. ახლა მგონი, დაწინაურებას გიპირებს...

კუკურა. არ ვარ ღირსი, ბატონო.

I მინისტრი. ჰოდა, სანამ დაგაწინაურებდეს, გამოეწყვე ერთი ანგელოზივით, გადაიცვი ანგელოზის მუნდირი და დაგვენახვე!

კუკურა. ახლავე, ბატონო!

უცებ გადაიცვამს ანგელოზივით, თან მღერის.

— თეთრი პერანგი ჩამაცვით,
გამიკეთეთ ფრთები,
ანგელოზში ვერ გამარჩევთ,
დედას გეფიცებით.

I მინისტრი. შეხედეთ, შეხედეთ, გამოცხადებული ანგელოზია ეს რხერი!

II მინისტრი. დედა, დედა, რავა გავს ანგელოზს!

I მინისტრი. ჰოდა, ჩემო ცუგრუმელა ანგელოზო, მეფე რომ დაგიძახებს, შენი მასე გამოწყობილი და მიართვი ლუდი. ესიამოვნება — დამიფასა სიკეთე. ეს შენი ბოლო ანგელოზობა იქნება, მალე მინისტრი გახდები. აბა, მოიქაჩლე თავი!

კუკურა. საცაა უნდა დამიძახოს, ველოდები!

მეფის ხმა. კუკურა, ლუდი!

კუკურა. ა. ხომ ვთქვი!

I მინისტრი. აბა, შედი ყოჩაღად, ნუ დაიბნევი. მათხოვე ეგ კათხა!

ლუდის კათხაში ჯიბის მთარიდან ელექსირს ჩასხამს.

ესაა უკვდავების ელექსირი!

კუკურა. გავფრინდი აბა!

I მინისტრი. ფეხი არ წამოჰკრა რამეს, არ დაღვარო!

კუკურა. რავა დაღვრი! **(სასახლეში შეირბენს).**

I მინისტრი. მდა... კუკურამაც მოგჭამა ჭირი!

II მინისტრი. მაგარი ხარ, ძმაო, მაგარი!

I მინისტრი. მიხვდი ხომ?

II მინისტრი. ორი კურდღელი ერთად **დაიჭირე**, ერთად!

I მინისტრი. კურდღლები ეძახე შენ — ერთი მეფეა, მეორე მომავალი მინისტრი!

II მინისტრი. კი. მზარღი ახალგაზრდა იყო საწყალი...

I მინისტრი. ახლა იქიდან რომ გამოვა, ჩვენი ჩარევა არცაა საჭირო, ვინ გააჩერებს ასი გამოწყობილს — პირდაპირ სანატორიუმში გააქანებენ და კი იქნებიან მართალი, ხომ იცი! **(ტელეფონის ჯიხურში შედის, ტელეფონზე რეკავს).** სანატორიუმია? სანიტრები გამოცხადდნენ სასახლეში სასწრაფოდ!

გამოდის ჯიხურიდან. მოქმედება გადადის მებადურის ქოხში. ქოხში ხალხია შეგროვილი. შემორბის მეფის მდივანი ქალი.

მდივანი ქალი. მიფეს გამოვიქეცი, შემიფარეთ!

აკადემიკოსი. მობრძანდით, ქალბატონო!

მდივანი ქალი. კიდობნით მიფრინავს და მეც თან მივყავდი!

ხალხი. **(გაკვირვებული)** მეფე მიფრინავს?

ნოე. ჩვენ კი კიდობნით ბავშვების გადარჩენას ვაპირებდით!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. ის ხომ ჩემი სიყვარულით გაგიჟდა, როგორ მიკვატოვო! ო, რა სანახავი იყო. საკაცეთ რომ მიყავდათ: თეთრი ფრთეებით, თეთრი ბერანგით! ო, როგორ მღეროდა, თავს ვერ შეიკავებდით და ჩაყლაპავდით უსათუოდ!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ვის, ქალბატონო, ვის ჩაყლაპავდით?

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. ამ ღილით ცოლად გამომყევიო. მთხოვა. მეც უარი ვერ ვუთხარი.

ო ს ტ ა ტ ი. ვის, ქალბატონო, ვის ვერ უთხარით უარი?

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. ქალისთვის გათხოვება და გაფრენა ერთი და იგივეა. მე ამ ორი გაფრენიდან პირველი ანუ გათხოვება ავირჩიე. რომ გავფრენილიყავი, ხომ ვეღარ გავთხოვდებოდი?!

ქ ვ რ ი ვ ი. თეთრ წინსაფარს ხომ არ აფრიალებდა?

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. წინსაფარს?.. მგონი!

ქ ვ რ ი ვ ი. უსვინდისო!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. უსვინდისო კი არა ჩასაყლაპი იყო პირდაპირ!

ქ ვ რ ი ვ ი. ვითომ ეგეც მომკვდომია!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. ვინ ეგეც?

ქ ვ რ ი ვ ი. ისედაც შეჩვეული ვარ ქმრების სიკვდილს!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. მე კი რომ გავფრენილიყავი, ხომ ვეღარ გავთხოვდებოდი!..

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. დამშვიდდით, ქალბატონო, დაბრძანდით...

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. ისე ტკბილად მღეროდა... **(მღერის).**

ანგელოზში ვერ გამარჩევთ,
დედას გეფიცებით!

(მშვიდად) ხვალ ვინახულებ სანატორიუმში, ქათმის ბულიონს წავიღებ.

ქ ვ რ ი ვ ი. ხვალ ყველანი ისედაც სანატორიუმში ვიქნებით!

მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი. და მახლის კომპოტს!

ქ ვ რ ი ვ ი. გავგიჟდები ნამდვილად!

ხელის მეორე კუთხეში ძეგლის გახსნის ცერემონიალი მიმდინარეობს.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კვარცხლბეკთან მივიდა, საკუთარი სახელი და გვარი ამოიკვეთა, გაღიმა...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. მუნდირი გაიხადა...

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. არა, მუნდირი არ გაუხდია, ქუდი მოიხადა!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ბავშვები მიცვივდნენ და ყვავილები მიართვეს!

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ბავშვებს კანფეტები დაურიგა...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ბავშვებზე გიჟდებოდა...

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კ, ბავშვები უყვარდა ძალიან...

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. კიბეზე დინჯად ავიდა, ამაყად...

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. როგორც კაპიტანი — ხომალდის ტრაპზე!

II მ ი ნ ი ს ტ რ ი. და აი, ჩვენი მბრძანებელი, როგორც იქნა, ძეგლად მოგვეცინა!

ძეგლს ტილოს ხსნიან. ძეგლი შეიძლება ითქვას, ძალიან ორიგინალურია: ტელევიზორის წინ სავარძელი დგას სავარელში კაცი მოკალათებული. ცოტა ხნის მერე გამოირკვევა, რომ ტელევიზორი ნამდვილია და მას ცოცხალი ადამიანი უყურებს. „ძეგლი" თანდათან მოშინაურდება, მუნდირს გაიხდის, სავარძლის ზურგზე გადაკიდებს, საკვოიაჟიდან ფლოსტებს ამოიღებს, ჩექმებს გაიხდის და ფლოსტებში წაყოფს ფეხებს. ნელა და აუჩქარებლად იქცევა. როგორც შორსმიმავალი მგზავრი — მატარებლის კუპეში. საკვოიაჟში თურმე ბუზების დასახოცი ტყაპუნაც ჰქონია შენახული. ტყაპუნათი იგერიებს და ხოცავს ბუზებს სხვა პერსონაჟების (ვისაც მიხწვდება) თავებსა და მხრებზე. ყურადღებით უსმენს მათ საუბარს, ზოგჯერ ხელსაც დაუქნევს, თითქოს ტრიბუნიდან დემონსტრანტებს ესალმებაო. ბოლოს ჩაეძინება და პირზე გაზეთგადაფარებული ხვრინავს.

მებადურის ქოხში.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ორი საათიღა დარჩა...

ნ ო ე. ჯერჯერობით, მოსალოცადა გვაქვს საქმე, ტაიფუნი ნორმალურად მოძრაობს.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ეგ ნორმალური მოძრაობაა ჩვენი დამღუპველი! შენ ის მითხარი — ბავშვებმა კიდობანი როგორ უნდა მართონ?

ნ ო ე. კიდობანი თავისთ ღაეშვება უახლოეს ხმელეთზე, მიწა თავისით მიიზიდავს.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მიწა... მიწა... ალბათ ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს...

ნ ო ე. ჰოდა, მადლობა მინდა გითხრა.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. რისთვის?

ნ ო ე. რა ვიცი... ყველაფრისათვის! რომ შემიფარე, ლუკმა რომ გამიყავი, საერთოდ, კეთილი რომ ხარ. განა არ ვიცი, შენი ტელესკოპი, მაინც და მაინც, ამ ქოხში რატომ დადგი — მეფისგან შენთვის ღანიშნულ ულუფას ქვრივ-ობლებს უნაწილებდი.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მეც მინდა გითხრა მადლობა... თუნდაც, ბავშვების გადარჩენისთვის.

ქ ვ რ ი ვ ი. **(აკადემიკოსს)** თუ შეიძლება, ერთი წუთით აქ მობრძანდით. **(გვერდზე გაიყვანს).** თქვენ კუკურას თუ იცნობდით?

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. როგორ არა, კუკურას ყველა იცნობს!

ქ ვ რ ი ვ ი. გაგიჟებულა საწყალი!..

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. **(მრავალმნიშვნელოვნად)** მე მესმის კუკურასი!..
ქ ვ რ ი ვ ი. **(დაიმორცხვებს)** გმადლობთ.
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მაშ, სიაში რამდენიღა დავრჩით?
ქ ვ რ ი ვ ი. ნუ გეშინიათ, თქვენი რიგიც მოვა!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ლოდინი, ეტყობა, ჩემი ხვედრია!
ქ ვ რ ი ვ ი. ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ხომ გაგიგიათ? ხო, კინალამ დამავიწყდა — რამდენი ხანია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და საერთოდ კი არ ვიცი თქვენი!
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ალექსანდრე მქვია, ქალბატონო.
ქ ვ რ ი ვ ი. შემთხვევით, მაკედონიიდან ხომ არ ბრძანდებით?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. არა. ქალბატონო, სამწუხაროდ, არა!
ქ ვ რ ი ვ ი. რა ვუყოთ მერე, დიდი ამბავი!

შემოდიან მინისტრები.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო, როგორ არის კიდობნის საქმე?
ნ ო ე. კიდობანი მზად არის.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყოჩაღ, ნოე! ახლა ის მითხარით, ბავშვები სად არიან. რატომ ვერ ვხედავ ჩვენს პატარა მერცხლებს!
ნ ო ე. ბავშვები უკვე კიდობანში სხედან.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ო, ძალიან გაჭახარეთ, ძალიან. მიყვარს ოპერატიულობა, ვაფასებ. კი მაგრამ, ჩვენი პაწაწინა კუდრაჭები შესძლებენ კიდობნის მართვას?
ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. კიდობანი ავტომატურად იმართება, ორი საათის ფრენის შემდეგ. პირველსავე ხმელეთზე დაჯდება თავისით. მიწა მიიზიდავს.
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ხომ ხედავთ, როგორ გამოგვადგა მიწის მიზიდულობის კანონი! კანონებს პატივი უნდა ვცეთ. კიდობანი ხომ არ ანჯღრევს?
II მ ი ნ ი ს ტ რ ი., დაამშვიდეთ, უთხარით, თუნდაც მოატყუეთ — არათქო. ბავშვების ჯავრით აღარ არის!
ნ ო ე. ვერაფერს იგრძნობენ. ისე დასკუპდებიან მიწაზე!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. გმადლობთ მაგ კეთილი სიტყვისთვის! აბა, მშვიდობით, ჩემო თანამემამულენო, სიკვდილს ღირსეულად შეეგებდეთ, პანიკა არ გამაგონოთ. სადაც თქვენ — ჩვენც იქ! ბოლომდე ერთად ვიქნებით!

მინისტრები მიდიან. მოქმედება გადადის ქოხის ახლო-მახლოს. მოჩანს კიდობნის ხილუეტი, რომელიც ძალიან მოგვაგონებს თანამედროვე კოსმოსურ ხომალდს. შემოდიან ჩუმადნებით დატვირთული მინისტრები.

I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რობოტო, რობოტო, მოდი, ბიკო, აქ!
რ ო ბ ო ტ ი. არის, მოვიდე მანდ!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აბა, მომისმინე!
რ ო ბ ო ტ ი. არის მოგისმინოთ!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. კიდობანთან ყარაულად დადგები. ხომ გიყვარს ყარაულად დგომა?
რ ო ბ ო ტ ი. კი მიყვარს, მაგრამ ყარაულებს სულ კლავენ და კლავენ!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. რას ამბობ, შვილო, შენისთანა ჭკვიან ყმაწვილს ეს როგორ ეკადრება! ყარაულის მოკვლა კინოშია ადვილი, თორემ სინამდვილეში ყარაულს მოკვლას ვინ გაუბედავს! ჰოდა, კიდობანთან დადგები! თოფს დაიჭერ. აი, თოფი! გამომართვი! სროლა იცი?
რ ო ბ ო ტ ი. კი, ბატონო, ვიცი!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აბა, სროლა თუ იცი, ადამიანიც ყოფილხარ! ჰოდა, შენც აწი ადამიანურად მოიქეცი, ვინც ახლოს მოვა — მოკალი და მოკალი!
რ ო ბ ო ტ ი. არის მოვიქცე ადამიანურად — მოვკლა და მოვკლა, მოვკლა და მოვკლა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ამ დაფას ხედავ?
რ ო ბ ო ტ ი. ნოემ თქვა, ეგ კიდობნის სამართავი დაფააო!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მართალი უთქვამს ჩვენს ნოეს. ამ განათებულ წითელ ღილაკსაც ხედავ ალბათ, ფერებს ხომ არჩევ?
რ ო ბ ო ტ ი. დიახ, ფერებსაც ვარჩევ!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. ყოჩაღ. შვიდს რომ ათი წამი დააკლდება... საათის ცნობა ხომ იცი?
რ ო ბ ო ტ ი. ვიცი, როგორ არა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. შემშალა ამ ბავშვმა თავისი ცოდნით!
II მ ი ნ ი ს ტ რ ი. ეგ ნამდვილი ბავშვი კი არა — რობოტია!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. მეც არა ვთქვი!.. დამავიწყდა უცებ... მოკლედ, შვიდს რომ ათი სეკუნდი დააკლდება, დათვლი: ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი თქო...
რ ო ბ ო ტ ი. თვლა მასე არ უნდა!
I მ ი ნ ი ს ტ რ ი. აბა, როგორ უნდა თვლა?
რ ო ბ ო ტ ი. პირიქით: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, და ასე შემდეგ — ათამდე.

Scanned with CamScanner

I მინისტრი. ასე შემდეგს მოგცემ, შე დეგენერატო, შენა! ვერ უყურებთ ამას, მეკამათება კიდეც!

II მინისტრი. კარგი, აპატიე, რა მოხდა, აღარ იზამს! ხომ აღარ იზამ, ბიჭიკო, ხომ დათვლი უკუღმა, როგორც გასწავლეთ?

რობოტი. კი, აღარ ვიზამ და დავთვლი უკუღმა!

I მინისტრი. ჰკითხე ერთი, რას აღარ იზამს, თუ ძმა ხარ, რამე უსაშველოს არ გადაგვკიდოს თავისი ცოდნა-განათლებით.

II მინისტრი. რას აღარ იზამ, ბიჭუნავ, აბა, მიპასუხე!

რობოტი. აღარ შეგეპასუხებით და უკუღმა დავთვლი: ათი, ცხრა, რვა...

I მინისტრი. ახლა კი ნუ თვლი, შვიდს რო ათი სეკუნდი დააკლდება, შვიდს!

რობოტი. არის, შვიდს რომ ათი სეკუნდი დააკლდება, მაშინ დავთვალო უკუღმა!

I მინისტრი. გავგიჟდები ნამდვილად! მეტი არაფერი?

რობოტი. ათი, ცხრა, რვა, შვიდი... სწორეა?

I მინისტრი. წითელ ღილაკს თითი არ უნდა დააჭირო?

რობოტი. რვის მერე ხომ არ დავაჭერ წითელ ღილაკს თითს, ბოლომდე რომ ჩავალ, მაშინ!

I მინისტრი. მართალია, ხომ იცი!

II მინისტრი. სწორად მსჯელობს, რას ერჩი!

I მინისტრი. აბა, ყოჩაღად იყავი, ბიჭიკო, შენი იმედით მივდივართ!

მებადურის ქოხში.

აკადემიკოსი. თენდება...

ქვრივი. ბოლო დილა თენდება...

აკადემიკოსი. მშვიდობით, ძვირფასო!

ქვრივი. მშვიდობით!

მდივანი ქალი. ნეტა, სანატორიუმი რომელ საათზე იღება?

ქვრივი. **(ყურებზე ხელებს იფარებს)** გავგიჟდები! გავგიჟდები! გავგიჟდები!

აკადემიკოსი. ათი წუთიღა დარჩა!

ოსტატი. ათი წუთი!

ნოე უცებ წამოვარდება, ტელესკოპის კიბეზე აირბენს, ტელესკოპში გაიხედავს, მერე მაგიდასთან დაბრუნდება, ქაღალდებში იქექება.

ნოე. შეცდომა! შეცდომა!

ყველანი. **(წამოვარდებიან)** რა მოხდა? რა მოხდა?

ნოე. **(ისევ აირბენს ტელესკოპის კიბეზე, ისევ გაიხედავს ტელესკოპში)** შეცდომა! მერე როგორი! ვაი, სირცხვილო! თავი მომეჭრა!

აკადემიკოსი. არ გვეტყვი, რა მოხდა?

ნოე. შევცდი, შემეშალა, დავიღუპე!

ყველანი. გვითხარი, რა მოხდა, გვითხარი!

ნოე. საკვირველია, ღმერთმანი, საკვირველი...

აკადემიკოსი. **(ტელესკოპში იხედება)** მართლაც, საკვირველია...

ნოე. შენც ამჩნევ?

აკადემიკოსი. კი მაგრამ... არ მესმის... საკვირველია...

ნოე. დიახ, ტაიფუნი ჩვენს კუნძულს აღარ გადაუვლის. ვაი, სირცხვილო!

აკადემიკოსი. რა დროს სირცხვილია, გადავრჩით!

ყველანი. რაო, გადავრჩითო? ვაშაა!

აკადემიკოსი. სასწაულია! გადავრჩით!

ნოე. ტაიფუნმა მოულოდნელად გეზი შეიცვალა!..

აკადემიკოსი. სასწაულია! **(სიცილით)** ხალხი ამ შეცდომას გაპატიებს, ნუ გეშინია!

ნოე. როგორ შევცდი, როგორ შევცდი, ვაი, სირცხვილო!

აკადემიკოსი. მეცნიერთა შეცდომები რომ არა, კაცობრიობა აქამდე ათასჯერ დაიღუპებოდა!

ნოე. კიდევ ერთი შეცდომა დავუშვი. აი, აჩქარებამ რა იცის!

აკადემიკოსი. ისიც თუ პირველსა ჰგავს, მთლად გავკეთებულვართ!

ნოე. კიდობანი...

აკადემიკოსი. რა კიდობანი?

ნოე. ჰო, კიდობანი...

აკადემიკოსი. არ გადამრიო, შიგ ბავშვები სხედან, ჩემი მომავალი შვილები!

ნოე. შიგ ბავშვები კი სხედან, მაგრამ...

აკადემიკოსი. რას ჰქვია მაგრამ?

ნოე. კიდობანი რომ გაგვეშვა, აღარასოდეს მიწაზე აღარ დაჯდებოდა, დედამიწის მუდმივ თანამგზავრად იქცეოდა. აი, ჩემი მეორე შეცდომა!

ქვრივი. ვაიმე, შვილებო!

ნოე. დამშვიდდით, ქალბატონო, კიდობნის გაშვება უკვე ჩვენი ნებაა, გინდა გავუშვებთ, გინდა — არა!

Scanned with CamScanner

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. გაძოდის, რომ ბავშვები დაიღუპებოდნენ, კიდობანი რომ გაგვეშვა!

ო ს ტ ა ტ ი. კიდევ კარგი, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა!

ნ ო ე. ორი შეცდომა ხედიხედ! თავი მაქვს მოსაკლავი! დავბერდი, ის ნოე აღარა ვარ!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. წამო, ბავშვები გამოვიყვანოთ კიდობნიდან!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. წავიდეთ, ბავშვები გამოვიყვანოთ!

ქ ვ რ ი ვ ი. ჩემო მეორედ გადარჩენილო შვილებო!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. ჩემო მოშავალო შვილებო!

ქ ვ რ ი ვ ი. რა ბედნიერი ვარ, ლექსო!

ყველანი მიდიან კიდობანთან.

რ ო ბ ო ტ ი. **(მხარზე თოფგადებული)** ნაბიჯით იარ! მარცხნისაკენ! სდექ! ზურგისაკენ! თავისუფლად! სმენა! ნაბიჯით იარ! ვაშა! **(მღერის)** თოფი ხელში დაიჭირე, ომში წამოდი...

ყ ვ ე ლ ა ხ ი. რობოტო, რობოტო, გაიგე სასიხარულო ამბავი!

რ ო ბ ო ტ ი. **(თოფს გადმოიღებს)** არ მომეკაროთ! სდექ!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. გადავრჩით, შვილო! ბავშვები კიდობნიდან უნდა გამოვიყვანოთ!

რ ო ბ ო ტ ი. არ მომეკაროთ!

ო ს ტ ა ტ ი. ბიჭო, არ გესმის, გადავრჩითო! ტაიფუნმა გვერდი აგვიქცია!

რ ო ბ ო ტ ი. არ მომეკაროთ! გესვრით!

ნ ო ე. რა დაგემართა, არ გესმის, რას გეუბნებით?

ქ ვ რ ი ვ ი. შვილებო, შვილებო!

რ ო ბ ო ტ ი. კიდობანი უნდა გაფრინდეს!

ნ ო ე. გაგიჟდი?!

ო ს ტ ა ტ ი. ვერ გაიგე, გადავრჩით-მეთქი!

რ ო ბ ო ტ ი. ყველას დაგხოცავთ! დაგხოცავთ! დაგხოცავთ!

ნ ო ე. რა დაემართა ამ საცოდავს?! ბიჭო, გამოიხედე აქეთ!

რ ო ბ ო ტ ი. ფეხი არ გაღმოდგათ, თორემ გესვრით!

ამ დროს რეკავს საათი.

რ ო ბ ო ტ ი. აჰა! ათი წამი დარჩა! **(იწყებს თვლას)** ათი...

ო ს ტ ა ტ ი. რა ათი, რის ათი? ბავშვები კიდობნიდან უნდა გადმოვიყვანოთ სასწრაფოდ!

ნ ო ე. დაიღუპებიან, სულელო, დაიღუპებიან!

რ ო ბ ო ტ ი. **(თვლის)** ცხრა, რვა, შვიდი...

ქ ვ რ ი ვ ი. მიშველეთ, ხალხო!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. მოკვისშინეთ, უმაწვილო!

რ ო ბ ო ტ ი. ექვსი, ხუთი, ოთხი...

ქ ვ რ ი ვ ი. მიშველეთ, ხალხო, გაიჩერეთ ეს ურჩხული!

ო ს ტ ა ტ ი. გამოდი, შე შტერო, აქეთ!

რ ო ბ ო ტ ი. სამი, ორი...

ქ ვ რ ი ვ ი. ვაიმე, შვილებო!

რ ო ბ ო ტ ი. ერთი! წავიდااა!

წითელ ღილაკს აჭერს თითს. კიდობანი ნელნელა, ცეცხლის ფრქვევით ადის ცაში. თავზარდაცემული, ენაჩავარდნილი ხალხი გაშტერებული შესცქერის კიდობანს. რობოტი კმაყოფილი იღიმება.

ნ ო ე. ესეც ჩემი მესამე შეცდომა! რობოტი ხომ ჩემი სიბერის ნაცოდვილარია! ნამდვილად მოსაკლავი ვარ — ადამიანად რომ ვერ გავზარდე!

რ ო ბ ო ტ ი. მამიკო!

ნ ო ე. დამეკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახვო! **(უცებ თითქოს რაღაცას მიხვდაო, დაუძახებს)** აბა, ერთი შენი თავი მაჩვენე! დაიხარე ცოტა, შე რკინის საფრთხობელავ. ეს ხრახნი ვინ მოგიჭირა?

რ ო ბ ო ტ ი. ვინც ეს ხრახნი მომიჭირა, ის გაფრინდა! მე კი ვივარცხნი და ვივარცხნი თმას, ვივარცხნი და ვივარცხნი!

ნ ო ე. გაფრინდა?

ქ ვ რ ი ვ ი. ღმერთო, ნუთუ მეჩვენება!

ნ ო ე. ესე იგი, გაფრინდა...

ქ ვ რ ი ვ ი. ეტყობა, ჰალუცინაციები დამეწყო, ჩემი შვილები მოდიან, ჩემი შვილები, ხედავთ!

შემორბიან ბავშვები.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. მამა! მამა! სად არის მამიკო! რატომ გვემალება!

ქ ვ რ ი ვ ი. **(ბავშვებს მკერდში იკრავს)** შვილებო, ჩემო მესამედ გადარჩენილო შვილებო!

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. მამა სად არის, აკი მამა დაბრუნდაო! ძიებმა გვითხრეს, თქვენი მამიკო ზღვიდან დაბრუნდა, სათამაშო ზვიგენი მოგიყვანათო. აბა, სად არის, დაგვანახვეთ!

ნ ო ე. ვერაფერი გამიგია...

ო ს ტ ა ტ ი. ნუთუ...

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. **(ხალხში მამას დაეძებენ)** მამა, მამა, მამიკო!

Scanned with CamScanner

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. **(მიხვდება ყველაფერს)** მაშ, გაფრინდნენ არა? ჰა-ჰა-ჰა!

ო ს ტ ა ტ ი. **(მკაცრად)** რა გაცინებთ, ამხანაგო?

ნ ო ე. **(ისიც ხვდება, რაც მოხდა)** მაშ, კიდობანში ისინი სხედან, ვინც იქ უნდა ისხდნენ!

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს ი. **(სიცილით)** ფრრრ, ფრررრ! გაფრინდნენ!

ქ ვ რ ი ვ ი. ალექსანდრე, აი, ჩვენი შვილები!

ყველანი იცინიან, მღერიან, ცეკვავენ, ერთმანეთს ეხვევიან და უცებ მოულოდნელად ამ საერთო მხიარულებაში მეხივით დაიჭექებს:

ძ ე გ ლ ი. კუკურა, ლუდი!

ხალხი ერთ ადგილას გაშეშდება.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

1990 წელი.

Scanned with CamScanner